ვთქვათ $0<p<q<\infty,\ \ 0<\lambda<\infty.$ $f\in H(D)$ ფუნქციას ეწოდება $B(p,q,\lambda)$ სივრცის ფუნქცია, თუ

$$\|f\|_{B(p,q,\lambda)}=\left\{\int_0^1(1-r)^{\lambda\left(\frac{1}{p}-\frac{1}{q}\right)-1}\left[\int_0^{2\pi}\left|f\left(re^{i\theta}\right)\right|^q d\theta\right]^{\frac{\lambda}{q}}dr\right\}^{\frac{1}{\lambda}}<\infty.$$

მტკიცდება შემდეგი თეორემები:

თეორემა 1. თუ $f\in B(p,q,\lambda)$ $(q\le 1)$, მაშინ $f_{[\alpha]}\in H^2(D)$, სადაც $\alpha=1+\left[p^{-1}\right]$, ხოლო $H^2(D)$ ჰარდის სივრცეა.

თეორემა 2. თუ $f\in B(p,q,\lambda)$ $(q\le 1)$ და $\alpha=1+\left[p^{-1}\right]$, მაშინ $\forall z\in D$

$$f(z)=\frac{1}{2\pi}\int_0^{2\pi}\frac{f_{[\alpha]}\left(e^{i\theta}\right)d\theta}{\left(1-ze^{-i\theta}\right)^{2+\left[p^{-1}\right]}}.$$

თეორემა 3. თუ $f(z)=\sum_{n=0}^{\infty}a_n(f)z^n\in B(p,q,\lambda)$ $(q\le 1)$, მაშინ:

1) $F(z)=\sum_{n=0}^{\infty}\frac{\Gamma(1+n)}{(n+1)\Gamma\left(n+\left[p^{-1}\right]\right)}a_n(f)z^n\in A(D)$ და

2) $F\left(e^{i\theta}\right)=\sum_{n=0}^{\infty}\frac{\Gamma(1+n)}{(n+1)\Gamma\left(n+\left[p^{-1}\right]\right)}a_n(f)e^{in\theta}\in AC[0,2\pi]$,

სადაც $A(D)=H(D)\bigcap C\left(\overline{D}\right)$, ხოლო $AC[0,2\pi]$ -არის $[0,2\pi]$-ზე აბსოლუტურად უწყვეტი ფუნქციების სიმრავლე.

თეორემა 4. თუ $f\in B(p,q,\lambda)$ $(q\le 1)$, მაშინ სამართლიანია ფორმულები:

1) $f(z)=\frac{1}{2\pi}\int_0^{2\pi}H_\alpha\left(z,e^{i\theta}\right)\operatorname{Re}f_{[\alpha]}\left(e^{i\theta}\right)d\theta+i\operatorname{Im}f(0)$,

2) $f(z)=\frac{1}{2\pi}\int_0^{2\pi}\operatorname{Re}H_\alpha\left(z,e^{i\theta}\right)f_{[\alpha]}\left(e^{i\theta}\right)d\theta$, სადაც $H_\alpha\left(z,e^{i\theta}\right)=\frac{2}{\left(1-ze^{-i\theta}\right)^{1+\alpha}}-1$.

ჰაზემანის სასაზღვრო ამოცანის შესახებ

ვახტანგ პაატაშვილი

ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო

paatashvilitam@gmail.com

ჰაზემანის ამოცანა $\Phi^{+}(\alpha(t)) = a(t)\Phi^{-}(t) + b(t)$ განხილულია კოშის ტიპის ისეთ ინტეგრალთა კლასში, რომელთა სიმკვრივე მიეკუთნება ლებეგის წონიან ცვლადმაჩვენებლიან $L^{p(t)}(\Gamma;\rho)$ სივრცეს. ხარისხოვანი ρ წონისა და უწყვეტი $a(t)$ კოეფიციენტის შემთხვევაში ხერხდება ამოცანის შესწავლა როცა: $p(t)$ ფუნქცია აკმაყოფილებს ლოგარითმულ ჰელდერის პირობას, α არის ორიენტაციის შემნახავი ჰომეომორფიზმი Γ წირისა თავის თავში და α' ეკუთვნის ჰელდერის კლასს, ხოლო Γ ისეთი შეკრული წირია, რომლის ნებისმიერი ორი წერტილის შემაერთებელი უმოკლესი რკალის სიგრძის შეფარდება მათი მომჭიმავი ქორდის სიგრძესთან შემოსაზღვრული ფუნქციაა.

On Riemann-Hilbert problems in loop spaces

GIORGI KHIMSHIASHVILI

A.Razmadze Mathematical Institute & I.Chavchavadze State University

khimsh@yahoo.com

We discuss an important particular case of a general formulation of Riemann-Hilbert problem introduced in [1]. Namely, we consider Riemann-Hilbert problems with values in a loop space of three-dimensional manifold [2], [3] and describe some explicit examples of solutions to such problems.

In particular, it will be shown that Hopf fibration and lens spaces can be interpreted as solutions to Riemann-Hilbert problems of such type. In the case of three-dimensional Euclidean space, we provide some new solutions to the “master equation” for loopy holomorphic discs introduced in [4]. Specifically, it will be shown that a wide class of solutions can be obtained using conformal transformations of three-dimensional Euclidean space. The geometric structure of a typical holomorphic disc in loop space will be described and a general existence theorem for the initial value problem for loopy holomorphic discs will be presented.

References

1. G. Khimshiashvili, Global geometric aspects of linear conjugation problems, J. Math. Sci. 118, no.5, 2003, 5400-5466.
2. G. Khimshiashvili, Holomorphic tubes in Cauchy-Riemann manifolds, Complex Variables 50, No.7-11, 2005, 575-584.
3. G. Khimshiashvili, Loop spaces and Riemann-Hilbert problems, Banach Center Publ. 76, 2007, 411-424.
4. G. Khimshiashvili, E.Wegert, Holomorphic curves and Riemann-Hilbert problems in loop spaces. J. Appl. Func. Anal. 2, 2007, 111-124.

პარამეტრზე დამოკიდებული შეჯამებადობის მეთოდების შესახებ

შაქრო ტეტუნაშვილი

ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

stetun@rmi.acnet.ge

ლებეგის, ფეიერის, კოლმოგოროვის, ბოხნერის, სტეინის ცნობილი შედეგებიდან (იხ. [1], [2], [3], [4]) გამომდინარეობს, რომ N-ჯერადი (N=1,2,3,...) ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივების ბოხნერ-რისის შეჯამებადობის მეთოდისათვის რიცხვი $\frac{N-1}{2}$ არის კრიტიკული მაჩვენებელი C და L სივრცეებში.

ჩვენს მიერ დამტკიცებულია ზოგადი თეორემა პარამეტრზე დამოკიდებული ოპერატორების მიმდევრობებისათვის, საიდანაც როგორც კერძო შედეგი გამომდინარეობს ზოგიერთი თეორემა ცვლად მაჩვენებელზე დამოკიდებული შეჯამებადობის მეთოდებისათვის – მათ შორის ბოხნერ-რისის შეჯამებადობისათვის ცვლადი მაჩვენებლით. კერძოდ, ვთქვათ, $S_R^{\alpha_R}(x;f)$ ბოხნერ-რისის α_R რიგის საშუალოებია. Φ სივრცე არის $L(-\pi,\pi]^N$ ან $C(-\pi,\pi]^N$ (N=1,2,3,...), მაშინ ყოვე-ლი $f\in\Phi$-სათვის არსებობს α_R ისეთი, რომ $\lim\limits_{R\to\infty}\alpha_R=\frac{N-1}{2}$ და

$$\lim_{R\to\infty}\left\|f(x)-S_R^{\alpha_R}(x;f)\right\|_{\Phi}=0.$$

ლიტერატურა

1. Zygmund, Trigonometric series, volume I, 1959.
2. S. Bochner, Summation of multiple Fourier series by spherical means. *rans. Amer. Math. Soc.* 40(1936), №2, 175-207.
3. E. M. Stein, Localization and summability of multiple Fourier series. *Acta Math.* 100(1958), 93-147.
4. E. M. Stein, On certain exponential sums arising in multiple Fourier series. *Ann. of Math. (2)* 73(1961), 87-109.

On a Certain Transition Kernel in Solovay Model

GOGI PANTSULAIA

Georgian Technical University, Tbilisi, Georgia,
email:gogi_pantsulaia@hotmail.com

Let X and Y be Polish spaces. A family $(\mu_x)_{x\in X}$ is called a transition kernel from X to Y if for x in X , $(\mu_x)_{x\in X}$ is a family of probability measure defined on the Borel subsets of Y and for each Borel subset E of Y the function $x \to \mu_x(E)$ is a Borel measurable map of X into $I = [0, 1]$.

The transition kernel $(\mu_x)_{x\in X}$ is said to be uniformly orthogonal provided there is a Borel subset B of $X \times Y$ such that for each x in X, $\mu_x(B_x) = 1$ and if $x \neq x'$, then $\mu_{x'}(B_x) = 0$; $(\mu_x)_{x\in X}$ is said to be modified uniformly orthogonal if the set B is not required to be a Borel set.

The kernel $(\mu_x)_{x\in X}$ is said to be completely orthogonal provided there is a Borel subset B of $X \times Y$ such that for each x in X, $\mu_x(B_x) = 1$ and if $x \neq x'$, then $B_x \cap B_{x'} = \emptyset$; The set B is said completely separate $(\mu_x)_{x\in X}$. The kernel $(\mu_x)_{x\in X}$ is modified completely orthogonal if the requirement that B be a Borel set is dropped.

Example. For $x \in I = [0, 1]$, let λ_x be a probability Borel measure on $I \times I$ produced by linear Lebesgue measure l_x concentrated on the set $A_x = \{x\} \times I$. Analogously, for $x \in [0, 1]$, let λ^x be a probability Borel measure on $I \times I$ produced by linear Lebesgue measure l^x concentrated on the set $A^x = I \times \{x\}$.

For $x \in I, E \in \mathcal{B}(I \times I)$, we put $\mu_x(E) = \frac{1}{2}(\lambda_x(E) + \lambda^x(E))$. It is obvious to see that $(\mu_x)_{x\in I}$ is a modified uniformly orthogonal transition kernel from I to $I \times I$.

The main result is formulated as follows.

Theorem. In Solovay Model [3], the following conditions are fulfilled:

(i) if E is a subset of I and B is a set in $E \times (I \times I)$ which completely separates $(\mu_x)_{x\in E}$, then the Lebesgue measure of E is equal to zero;

(ii) the $(\mu_x)_{x\in I}$ is not a modified completely orthogonal transition kernel from I to $I \times I$.

Remark. Construction of our example is rather different from Example 1.5 (see, [2], p. 972). The latter is valid in ZFC + "the uniformity of Lebesgue measure is less than the covering number of Lebesgue measure", and this is known to be relatively consistent with ZF, but in the cardinal-free expression used by R. Mauldin, D. Preiss and H. Weizsacker in [2], the hypothesis is clearly false in Solovay model.

References

1. Gardner R. J., A note on conditional distributions and orthogonal measures, *Ann. Probab.,* **10(3)** *(1982), 877–878.*

2.Mauldin R.D., Preiss D., Weizsacker H.Y. , Orthogonal transition kernels, *Ann. Probab.,* **11(4)** *(1983), 970-988.*

3.Solovay R.M., A model of set theory in which every set of reals is Lebesgue measurable, *Ann. Math.,* **92** *(1970), 1–56.*

A Maximum Inequality for Rearrangements of Summands and its Applications to Orthogonal Series and Scheduling Theory

L.A.CHOBANYAN, S.A.CHOBANYAN* AND G.D.GIORGOBIANI

Techinformi, Tbilisi, Georgia

levon@caucasus.net

N. Muskhelishvili Institute of Computational Mathematics, Tbilisi,Georgia

chobanyan@stt.msu.edu

N. Muskhelishvili Institute of Computational Mathematics, Tbilisi,Georgia

bachanabc@yahoo.com

Let $a_1,...,a_n$ be a collection of elements of a normed space X, $\Phi:[0,\infty)\to[0,\infty)$ be an increasing convex continuous function. Then the following two-sided maximum inequality holds:

$$\int_{[0,1]} \Phi(\frac{1}{2}\| s + \sum_1^n a_i r_i \|)\, dt \le \frac{1}{n!}\sum_{\pi} \Phi(\max_{k\le n} \| a_{\pi(1)} + ... + a_{\pi(n)} \|) \le 2 \int_{[0,1]} \Phi(\| s + \sum_1^n a_i r_i \|)\, dt ,$$

where π runs through all permutations $\pi:\{1, ... ,n\} \to \{1, ... ,n\}$, $s=\sum_1^n a_i$, and $r_1, ..., r_n$ are Rademacher functions.

The right-hand-side part of the inequality in the case of reals and $\Phi(t)=t^2$ leads to the well-known Garsia inequality which has been used for any function $f\in L_2$ to prove the existence of an almost everywhere convergent rearrangement of the Fourier series.

The left-hand-side of our inequality shows that the right-hand-side part is actually unimprovable.

The inequalities of this type also find applications in studying the structure of the sum range of a conditionally convergent series in an infinite-dimensional space and in assertions claiming the existence of an almost everywhere convergent rearrangement of a functional series. We also study curious applications to the scheduling theory.

Our inequality is in accordance with the idea that there is a close relationship between series rearrangements and assignments of signs.

Our research is supported by the grant GNSF/ST08/3-384.

მრავალი ცვლადის დიფერენცირებადი და ჰარმონიული ფუნქციები

(მათემატიკური ანალიზის სექცია)

ომარ ძაგნიძე

ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი

1. მოხსენებული იქნება მრავალი ცვლადის ნამდვილი და კომპლექსური ფუნქციების დიფერენცირებადობის აუცილებელი და საკმარისი პირობები (ლიტ.: O. Dzagnidze, Some new results on the continnity and differentiability of functions of several real variables. Proc. A. Razmadze Math. Inst. 134(2004), 1–138; O. Dzagnidze, A criterion of joint $\mathbb{C}$-differentiability and a new proof of Hartogs' main theorem. J. Appl. Anal. 13(2007), N 1, 13–17) და აგრეთვე კვატერნიონული ფუნქციის წარმოებადობის პირობები (ლიტ.: O. Dzagnidze, On the derivability and representations of quaternion functions. Complex variables and elliptic equations).

მითითებული იქნება კლასი ფუნქციებისა, რომელთაც აქვთ დიფერენცირებადობაზე უკეთესი და გრადიენტის უწყვეტობაზე სუსტი თვისება.

2. შემოგვაქვს პუასონის სფერულ $p_r(\theta,\varphi;\theta',\varphi')$ გულთან θ-ს, φ-ს და (θ,φ)- ს მიმართ მიკავშირებული $p_r^*, \widetilde{p}_r, \widetilde{p}^{\,*}_r$ გულები და აგრეთვე პუასონის $u_f(r,\theta,\varphi)$ ინტეგრალთან მიკავშირებული u_f^*, $\widetilde{u}_f$ და $\widetilde{u}^{\,*}_f$ ინტეგრალები.

ყოველი $f \in L^2(S)$ ფუნქციისთვის, სადაც S ერთეულოვანი სფეროა R^3-ში, მტკიცდება ტოლობები $u_f^* = u_{f^*}$, $\widetilde{u}_f = u_{\widetilde{f}}$ და $\widetilde{u}^{\,*}_f = u_{\widetilde{f}^*}$ (ლიტ.: O. Dzagnidze, For Fourier Analysis on the Sphere. Bull. Georgian Acad. Sci. 158(1998), N 3, 357–360; O. Dzagnidze, Allied integrals. functions and series for the unit sphere. Georgian Math. J. 5(1998), N 3, 213–323; O. Dzagnidze, A radial derivative with boundary values of the sperical Poisson integral. Georgian Math. J. 6(1999), N 1, 19–32).

ცალმხრივად დიფერენცირებადი ორი ცვლადის ფუნქციის ზოგიერთ თვისებათა შესახებ

ი. წიკლაური

ორი ცვლადის ფუნქციისათვის ცალმხრივად დიფერენცირებადობის ცნება შემოღებულ იქნა პროფ. ო. ძაგნიძის მიერ. აქ განხილულია ასეთი ფუნქციების ზოგიერთი თვისება. დადგენილია კავშირი ორი ცვლადის ფუნქციის სიმეტრიულ დიფერენციალსა და ცალმხრივ დიფერენციალებს შორის, კერძოდ, თუ $f(x,y)$ ფუნქციას $P_0=(x_0,y_0)$ წერტილზე აქვს ცალმხრივი დიფერენციალები $d^+f(P_0)$ და $d^-f(P_0)$, მაშინ P_0 წერტილში არსებობს სიმეტრიული დიფერენციალი $d^{sym}f(P_0)$ და ადგილი აქვს ტოლობას

$$d^{sym}f(P_0)=\frac{1}{2}\left[d^-f(h)+d^+f(h)\right].$$

ცალმხრივად დიფერენცირებადი ორი ცვლადის ფუნქცია გამოკვლეულია თითოეული დამოუკიდებელი ცვლადის მიხედვით. ჩამოყალიბებულია ფუნქციის ცალმხრივად დიფერენცირებადობისთვის საკმარისი საკმარისი პირობები.

მახლობელი არეების კონფორმულად გადამსახავი ფუნქციების მიახლოების ზოგიერთი ამოცანა

ე. ჯაფარიძე, ლ.ზივზივაძე

ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

ვთქვათ $z=x+iy$ კომპლექსური ცვლადის C სიბრტყეში მოცემულია სასრული ცალადბმული G არე, რომლის Γ საზღვარი, $t=g(\tau)$, $\left(0\le\tau\le 2\pi;\ g(0)=g(2\pi)\right)$ პარამეტრული განტოლებით, წარმოადგენს $C_\alpha{}'$ $(0<\alpha\le 1)$ კლასის ჩაკეტილ წირს.

განვიხილოთ G არის მსგავსი მეორე $\tilde{G}$ არე $\tilde{t}=\tilde{g}(\tau)$ $\left(0\le\tau\le 2\pi;\ \tilde{g}(0)=\tilde{g}(2\pi)\right)$ პარამეტრული განტოლებით. ამ არეებს ვუწოდოთ ε მახლობელი თუ შესრულებულია პირობები

$$\left|g(\tau)-\tilde{g}(\tau)\right|<\varepsilon;\quad \left\|g-\tilde{g}\right\|_{C_\alpha}<\varepsilon.$$

როგორც ცნობილია არსებობენ ფუნქციები $f:G\to D$ და $\tilde{f}:\tilde{G}\to D$ ფუნქციები რომლებიც G და $\tilde{G}$ არეებს კონფორმულად გადასახავენ $D=\{w:|w|<1\}$ წრეში, იმ პირობით, რომ $f(0)=\tilde{f}(0)=0$ და $f'(0)>0,\quad \tilde{f}'(0)>0$.

მახლობელი არეების ε-სიახლოვის მიხედვით შეფასებულია აღნიშნული არეების კანონიკურ არეებზე კონფორმულად გადამსახავი ფუნქციების სასაზღვრო მნიშვნელობების სხვაობა, არეთა საერთო ნაწილზე შეფასებულია კონფორმულად გადამსახავი ფუნქციების სიახლოვის რიგი და აღნიშნული ფუნქციების შექცეული ფუნქციებისა და მათი წარმოებულების სხვაობები.

გეომეტრია, ტოპოლოგია

GEOMETRY AND TOPOLOGY

აფინურ სივრცეში ჰიპერსიბრტყითი ელემენტების განაწილების პროექციული ნორმალები

ეთერ ალშიბაია

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

თბილისი, საქართველო

eter_alshibaia@yahoo.com

კარტან-ლაპტევის ინვარიანტული მეთოდით, (n+1)-განზომილებიან აფინურ სივრცეში განიხილება ჰიპერსიბრტყითი ელემენტების განაწილება, ე.ი. დიფერენციალური კვეთა ფიბრირებული სივრცისა, რომლის ბაზაა აფინური სივრცე, ხოლო ფიბრები – ჰიპერსიბრტყეთა კონები.

დიფერენციალური განტოლებების

$$\omega_i^{n+1}=L_{i\alpha}\omega^{\alpha} \ (i,j,k=1,n \quad \alpha,\beta,\gamma=1,n+1), \text{ სადაც } L_{i\alpha}\neq L_{ji},$$

გაგრძელებით ვიღებთ ფუნდამენტალურ გეომეტრიულ ობიექტთა მიმდევრობას

$$(L_{i\alpha}) \subset (L_{i\alpha}, L_{i\alpha\beta}) \subset (L_{i\alpha}, L_{i\alpha\beta}, L_{i\alpha\beta\gamma}) \subset \ldots$$

რომლის საშუალებითაც აიგება განაწილების მთელი გეომეტრია.

განაწილების პირველი რიგის მიდამოში განისაზღვრება აფინური ნორმალი (L^i) $(L^i = -L^{ik}L_{kn+1}, L^{ik}L_{kj}=\delta^i_j, dL^i+L^s\omega^i_s - L^i\omega^{n+1}{}_{n+1} + \omega^i{}_{n+1} = L^i{}_{\alpha}\omega^{\alpha})$. მეორე რიგის მიდამოში უკვე გვაქვს აფინური, ისე პროექციული ნორმალები და ნორმალთა კონები.

აგებულუია პროექციული ნორმალები $X^i= M^iX^{n+1}$, $X^i=S^iX^{n+1}$, $X^i= D^i X^{n+1}$, სადაც

$$M^i=-1/2(n+2)L^{ik}a^{sj}M_{kjs},$$
$$S^i=-1/2(n+2)\, a^{im}a^{sj}M_{sjm},$$
$$D^i=-1/2(n+2)\, a^{im}L^{sj}M_{jst},$$

ხოლო $M_{kjs} = L_{kjs}+L_{kj}L_{sn+1}+L_{ks}L_{jn+1}+L_{sj}L_{kn+1},\ a_{ij}=1/2(L_{cj}+L_{jt}),\ a^{ik}a_{kj}=\delta^i_j$.
ამ ნორმალების აგებისას გამოყენებული იქნა პირველი რიგის ფუნდამენტური ობიექტი და მეორე რიგის ფუნდამენტური ობიექტის ქვეობიექტი.

პირველი და მეორე რიგის ფუნდამენტური ობიექტებით განსაზღვრულია შემდეგი პროექციული ნორმალები: $X^i= N^iX^{n+1}$, $X^i= \tilde{N}^iX^{n+1}$, სადაც

$$N^i= -N^{is}a^{km}a^{jt}N_{mts}\lambda_{kj}, \qquad \lambda_{kj}=(n+2)L_{kjn+1}-L_{kj}\lambda+L_{km}S^mS_j,\ \lambda=a^{kj}L_{kjn+1},$$
$$N_{kji}=(n+2)M_{kji}-L_{kj}S_i-L_{ki}S_j+2(n+2)\alpha_{ji}S^mL_{km},$$
$$N_{it}=a^{ks}a^{jm}N_{kji}N_{smt},\ N^{st}N_{it}=\delta^s_t,$$

ხოლო

$$\tilde{N}= -\tilde{N}^{is}L^{km}L^{jk}\tilde{N}_{mts}\tilde{\lambda}_{kj}, \qquad \tilde{\lambda}_{kj}=(n+2)L_{kjn+1}-L_{kj}\tilde{\lambda}+L_{km}D^mD^j,\ \tilde{\lambda}=L^{kj}L_{jn+1},$$
$$\tilde{N}_{kji}=(n+2)M_{kji}-L_{kj}D_i-L_{ki}D_j+2(n+2)L_{km}D_ma_{ji},$$
$$\tilde{N}_{jt}=L_{mk}L^{li}\tilde{N}_{kij}\tilde{N}_{mlt}, \quad \tilde{N}^{si}\tilde{N}_{ik}=\delta^s_i.$$

ბომპიან-პანტაზის თანადობით და მიმხები ჰიპერკვადრიკებით დამყარებული პოლარიტეტის საშუალებით განისაზღვრება ე.წ. მეორე გვარის ნორმალები-(n-1)-

განზომილების სიბტყეები, რომლებიც ეკუთვნიან ჰიპერსიბრტყით ელემენტს და არ გადიან ელემენტის ცენტრში.

განაწილების მესამე რიგის მიდამოში აიგება პროექციულ ნორმალთა კანონიკური კონა: $N^i(\alpha)=J^i+ \alpha\tilde{J}^i$ სადაც $\tilde{J}^i=W^i-J^i$. აქ (J^i) ფუბინის ნორმალის, ხოლო (W^i) ვილჩინსკის დირექტრისის ანალოგებია.

Chern Characteristic Classes, Transfers and Morava K-Theory Rings

MALKHAZ BAKURADZE

A. Razmadze Mathematical Institute, Tbilisi, Georgia

maxo@rmi.acnet.ge

We work in Morava K-theory and give $K(s)^*$ rings of classifying spaces of all p-groups with maximal cyclic subgroup in terms of Chern characteristic classes and Honda formal group law. We also calculate $K(s)^*$ at 2 for all finite Frobenius complements $\mathcal{G}$ of exponent dividing $2^n \cdot 9$.

On Singular Extensions of Covariant and Contravariant Functors

V. BALADZE

Shota Rustavely State university,

Tbilisi, Georgia

The concepts of coshapes of topological spaces and continuous maps are given [1]. Applications of the obtained results include constructions of long exact sequences of homology and homotopy inj-groups and cohomology pro-groups of spaces and maps, coshape invariant extensions of covariant and contravariant functors defined on the category of spaces having the homotopy type of finite CW -complexes.

References

1. V.H.Baladze. On coshape invariant extensions of functors, Proceeding of A.Razmadze Mathematical Institute, Vol. 150 (2009),1-50.

Cohomology of Continuous Maps

A. BERIDZE

Shota Rustavely State University, Tbilisi, Georgia

Cohomology groups of continuous maps are defined for each cohomology theory on the category Top^2 of pairs of topological spaces $[1-3]$. It is shown that cohomology group of the inclusion map kis cohomology group of the pair (X, A). The category Mor_{Top} of continuous maps is considered as a $h-$category. The defined cohomology groups of maps induce $\delta-$functor from the category Mor_{Top} to the category Ab of abelian groups. for the constracted cohomology $\delta-$functor the Eilenberg-Steenrod type axioms $[1]$ are formulated.

References

1. S. Eilenberg, N. Steenrod. Foundation of Algebraic Topology, Princeton University Press, 1952.
2. E.Spanier. Ann. Of Math., 49, 1949, 407-427.
3. E. Spanier. Algebraic Topology, McGrow-Hill,1966.

On (Bi)Topological Spaces

B.P. DVALISHVILI

Department of Mathematics of St. Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia, Tbilisi, Georgia

email:badri.dvalishvili@yahoo.com

The sufficient conditions are established on the one hand, by the topological methods and, the other hand, by the bitopological ones, under which a topological space is a D-space [2].

Definition 1. A neighborhood assignment on a topological space (X, τ) is a function $\phi : X \to \tau$ such that $x \in \phi(x)$ and, a bitopological space (X, τ_1, τ_2) (resp., topological space (X, τ)) is an (i, j)-D-space (resp., D-space) iff for every i-neighborhood (resp. neighborhood) assignment $\phi_i : X \to \tau_i$ (resp., $\phi : X \to \tau$) there is a j-closed and i-discrete (resp. closed and discrete) subset $D \subseteq X$ such that $\bigcup\limits_{x \in D} \phi_i(x) = X$ (resp., $\bigcup\limits_{x \in D} \phi(x) = X$).

By [1], a topological space (X, τ) is an I-space iff its derived set X^d is closed and discrete.

Definition 2. A bitopological space (X, τ_1, τ_2) is an (i, j)-I-space iff its j-derived set is j-closed and i-discrete.

Theorem 3. Every p-connected (i, j)-I-space is an (i, j)-D-space.

Corollary 4. Every connected I-space is a D-space.

Let $\phi = \{\phi_s\}_{s \in S}$ be the class of all neighborhood assignments on a topological space (X, τ). Then a binary relation $\leq$, defined on ϕ in the manner as follows: $\phi_1, \phi_2 \in \phi$, $\phi_1 \leq \phi_2$ iff $\phi_1(x) \subseteq \phi_2(x)$ for each point $x \in X$, is a partial order on ϕ. Evidently, this partial order is linear iff for each pair $\phi_1, \phi_2 \in \phi$ we have $\phi_1(x) \subseteq \phi_2(x)$ for each point $x \in X$ or $\phi_2(x) \subseteq \phi_1(x)$ for each point $x \in X$.

Theorem 5. If for a topological space (X, τ) the class ϕ of all neighborhood assignments $\phi : X \to \tau$ is linearly ordered and there are topologies τ_1 and τ_2 on X such that $\sup(\tau_1, \tau_2) = \tau$ and (X, τ_1, τ_2) is a p - D-space, then (X, τ) is a D-space.

References

1. A.V. Arhangel'skiĭ, P. J. Collins, On submaximal spaces. *Topology Appl.* **64**(1995), No. 3, 219–241.

2. E.K. van Douwen, W. F. Pfeffer, Some properties of the Sorgenfrey line and related spaces. *Pacific J. Math.* **81**(1979), No. 2, 371–377.

Characteristic Classes of the Lagrangian Distributions on the Symplectic Manifolds

Zaza Tevdoradze
International School of Economics, Tbilisi State University, Tbilisi, Georgia
zatevd@gmail.com

Let $\pi : E \to M$ be a vector fiber bundle with dimension $n = dim(M) = 2k$ and let us assume that there exists non degenerate section $\omega \in \Gamma \wedge^2 E^*$. Then on E exists (1,1) type tensor field J (almost complex structure), that for two arbitrarily chosen sections $X, Y \in \Gamma E$ we have $\omega(JX, JY) = \omega(X, Y)$ and (0,2) type tensor field $g : (X, Y) \mapsto \omega(X, JY)$ is positively defined.

Let $\pi|_{L_1} : L_1 \to M$ be a Lagrangian subbundle of the bundle $\pi : E \to M$. On E there exists a connection ∇_1 with respect of which g and J are parallel tensor fields. Locally this connection has the view:

$$\nabla_1 e_i = \theta^j_{1i} e_j, \quad (\theta^j_{1i} = -\theta^i_{1j}),$$

where $(e_i)_{i=1}^n$ is an orthonormal basis of fibers of L_1 with respect to g. The curvature matrix of this connection locally is defined by formulae

$$\Omega^i_{1j} = d\theta^i_{1j} + \theta^i_{1k} \wedge \theta^k_{1j}, \quad i, j = \overline{1, n}.$$

Now let us consider another Lagrangian subbundle $\pi|_{L_2} : L_2 \to M$ of the bundle $\pi : E \to M$. By ∇_2 we denote a connection with respect of which g and J are parallel tensor fields. Then $\nabla_1 - \nabla_2$ is a tensorial 1-form. Let us denote this form (matrix) by α and let us consider the variation of curvature form (matrix)

$$\Omega_t = (1-t)\Omega_1 + t\Omega_2 + t(1-t)\alpha \wedge \alpha,$$

where $t \in [0, 1]$. The differential forms

$$\mu_h(E, L_1, L_2) = (-1)^{h+1} \frac{\sqrt{-1}}{(2\pi)^{2h-1}(2h-2)!} \int_0^1 (\delta^{j_1 \cdots J_{2h-1}}_{i_1 \cdots i_{2h-1}} \alpha^{i_1}_{j_1} \wedge \Omega^{i_2}_{tj_2} \wedge \cdots \wedge \Omega^{i_{2h-1}}_{tj_{2h-1}}) dt, \quad h = 1, 2, 3 \ldots \tag{1}$$

are not depends on choose of J, ∇_1 and ∇_2 and correctly defines de Rham cohomology classes $\mu_h(E, L_1, L_2) \in H^{4h-3}(M; \mathbb{R})$, which are called as Maslov-Hörmander classes.

If $\mathcal{L} \subset M^n$ is a Lagrangian submanifold of a symplectic manifold (M^n, ω) with Lagrangian distribution L_1, then cohomology classes $\mu_h(\mathcal{L}) = \mu_h(TM|_{\mathcal{L}}, L_1, T\mathcal{L}) \in H^{4h-3}(\mathcal{L}, \mathbb{R})$ are called as Maslov-Hörmander classes of manifold $\mathcal{L}$.

Theorem 1. Let $\mathcal{L} \subset M^n$ be a Lagrangian submanifold of an almost bi-Lagrangian manifold (M^n, ω, L_1, L_2). Then $\mu_h(TM|_{\mathcal{L}}, L_1|_{\mathcal{L}}, T\mathcal{L}) = \mu_h(TM|_{\mathcal{L}}, L_2|_{\mathcal{L}}, T\mathcal{L})$.

So, for the manifold $\mathcal{L}$ there are correctly defined cohomology classes $\mu_h(\mathcal{L}) \in H^{4h-3}(\mathcal{L}, \mathbb{R})$ which we will call as Maslov-Hörmander characteristic classes induced by almost bi-Lagrangian structure.

Theorem 2. If (M^n, ω, L_1, L_2) is an almost bi-Lagrangian manifold, then $\mu_h(TM, L_1, L_2) = 0$, $h = 1, 2, \ldots$.

Theorem 3. Let $(M^n, \omega, \mathcal{F}_1, \mathcal{F}_2)$ be a bi-Lagrangian manifold and N^k is any folium of the foliations $\mathcal{F}_1$ or $\mathcal{F}_2$. Then $\mu_h(N^k) = 0$, $h = 1, 2, \ldots$.

Lm(Vn) ვექტორული სივრცის დიფერენციალური ინვარიანტების შესახებ

გოჩა თოდუა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
თბილისი, საქართველო

gochatodua@yahoo.com

გეომეტრიულ გამოკვლევებში ერთ–ერთი ცენტრალური ადგილი უკავია თეორიას დიფერენციალური ინვარიანტების შესახებ. ამერიკელმა მათემატიკოსმა ო. ვებლენმა პირველმა დაამტკიცა ე.წ. თეორემები შეცვლისა და დაყვანის შესახებ ნულსიმრუდიანი აფინურბმულობიანი სივრცეებისთვის [1]. ბ. ლაპტევმა განაზოგადა ვებლენის შედეგები საყრდენ ელემენტთა ნებისმიერი სივრცისთვის [2]. პასუხი კითხვაზე შეიძლება თუ არა შეცვლისა და დაყვანის თეორემების ანალოგების დამტკიცება არაგლუვსიმრუდიან სივრცეებისთვის ან ნებისმიერი ვექტორული ფიბრირებული სივრცეებისთვის, ჯერ–ჯერობით არის ღია. წინანდებარე ნაშრომში მითითებულია ვექტორულ ფიბრირებულ სივრცეთა კლასი, რომელთა მიმართ სამართლიანია შეცვლისა და დაყვანის თეორემები. ეს კლასი ხასიათდება იმით, რომ წრფივი ბმულობის სიმრუდის ტენზორი არის ნაწილობრივ კოვარიანტულად მუდმივი (ნულის ტოლია მხოლოდ პირველი გვარის კოვარიანტული წარმოებული). ამ თეორემების დამტკიცებისას ხდება ვებლენის სქემის განზოგადება. აგებულია მოცემული სივრცისათვის ნორმალური კოორდინატები, ნაპოვნია კავშირი ნორმალურ ტენზორსა და აფინური ბმულობის ტენზორს შორის და დამტკიცებულია მთელი რიგი თეორემებისა შეცვლისა და დაყვანის შესახებ.

ლიტერატურა

1. Веблен О. Инварианты дифференциальных квадратных форм. М., 1948.
2. Лаптев Б.Л. Ковариантный дифференциал и теория дифференциальных инвариантов в пространстве тензорных опорных элементов. Учен. записки Казанского гос. ун-та , 118, кн.4, 1958, 75-147.

Continuous Čech Cohomology

LEONARD MDZINARISHVILI* AND LIA CHECHELASHVILI

Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

amyrocher@yahoo.com

Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

ch060971@hotmail.com

Unlike the ordinary Čech cohomology where a group of coefficients is abelian, in this paper a continuous Čech cohomology with coefficients in a topological abelian group is defined.

It is proved that for compact spaces and any topological abelian group the continuous Čech cohomology satisfies all Eilenberg-Steenrod axioms and continuity axiom, except the excision axiom.

However, if a group of coefficients is an absolute retract or $\Omega^n G$, where G is an AR, then for compact spaces the continuous Čech cohomology satisfies the excision axiom.

კოჯაჭვური ოპერაციები, რომლებიც განსაზღვრავენ სტინროდის ნამრავლებს ბარ კონსტრუქციაში

ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲥᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო
kade@rmi.acnet.ge

ტოპოლოგიური სივრცის კოჯაჭვურ კომპლექსში არსებული გამრავლება $\cup: C^*(X) \otimes C^*(X) \to C^*(X)$ განსაზღვრავს დიფერენციალს ბარ კონსტრუქციაში $BC^*(X)$, რომელიც, თავის მხრივ განსაზღვრავს მარყუჟთა სივრცის კოჰომოლოგიის მოდულებს $H^*(\Omega X)$. შემდგომი იტერაციისათვის, მეორე მარყუჟთა სივრცის კოჰომოლოგიის $H^*(\Omega^2 X)$ გამოთვლისათვის, $C^*(X)$-ის ეს მულტიპლიკატური სტრუქტურა არ არის საკმარისი, საჭიროა გარკვეული ახალი კოჯაჭვური მრავალადგილიანი ოპერაციები. ასეთი ოპერაციები $C^*(X)$–ის შემთხვევაში აგებული იყო ბაუესის მიერ, ხოლო ასოციატური A ალგებრას ჰოხშილდის კოჯაჭვური კოპლექსის $C^*(A, A)$ შემთხვევაში მათ გეტცლერ-ქადეიშვილის ოპერაციებს უწოდებან. ეს ოპერაციები ორივე შემთხვევაში ქმნიან ე.წ. ჰომოტოპიურ გერსტენჰაბერის ალგებრას (hGa) სტრუქტურას.

ასეთი რთული ალგებრული სტრუქტურების აღსაწერად მოსახერხებელია ოპერადების ტექნიკა, კერძოდ ე.წ. სიურექციათა ოპერადა. ამ ოპერადის მეშვეობით მრავალადგილიანი ალგებრული ოპერაციები აღიწერება გადანაცვლებებით დაშვებული გამეორებებით. მაგალითად ოპერაცია $\cup$ აღიწერება გადანაცვლებით $(1,2)$, სტინროდის $\cup_1$ გამრავლება გადანაცვლებით $(1,2,1)$, $\cup_2$ გამრავლება – გადანაცვლებით $(1,2,1,2)$ და ა.შ.

ზემოთ ნახსენები hGa-სტრუქტურის შემადგენელი ოპერაციები აღიწერება მაკლური-სმიტის მიერ აგებული გადანაცვლებებებით $(1,2,1,3,1,\ldots,1,k,1)$. როგორც უკვე ითქვა, ეს ოპერაციები განსაზღვრავენ $\cup$ გამრავლებას ბარ კონსტრუქციაში.

მოხსენებაში ჩვენ აღვწერთ გადანაცვლებებს, რომლებიც განსზღვრავენ $BC^*(X)$ ბარ კონსტრუქციაში სტინროდის $\cup_i$, i = 0, 1, 2, ... გამრავლებებს. კერძოდ, ბარ კონსტრუქციის სტინროდის $\cup_1$ განისაზღვრება გადანაცვლებებით

$$(1, p+1, 1, p+2, 1, \ldots, 1, p+q, 1, p+q, 2, p+q, 3, \ldots, p, p+q).$$

ფოსის ბადეთა შესახებ გაფართოებულ ევკლიდურ 5-სივრცეში

რ. ხაზურძანია

ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

განიხილება V_3 ზედაპირი გაფართოებულ ევკლიდურ $\overline{E_5} = E_5 \cup E_4^*$ სივრცეში, სადაც E_4^* - ელიფსური S_4 სივრცის სტრუქტურის მქონე არასაკუთრივი ჰიპერსიბრტყეა. ამ ზედაპირს მიუერთდება მოძრავი, ნახევრადორთოგონალური რეპერი $R = \{A, A_i, A_\alpha\}$ $(i = 1,2,3;\ \alpha = 4,5)$, $A \in T_3(A)$ ($T_3(A)$ მხები 3-სიბრტყეა V_3 ზედაპირისადმი A წერტილში), $A_\alpha \in N_2(A)$ ($N_2(A)$ არის $T_3(A)$ მხები სიბრტყის ორთოგონალური დამატება), $(AA_4) \perp (AA_5)$, $\{A_i, A_\alpha\} \subset E_4^*$.

ვთქვათ რაიმე არეზე $\Omega \subset V_3$ (კერძოდ, მთელ ზედაპირზე) მოცემულია წირთა ბადე $(\omega^1, \omega^2, \omega^3)$. ჩავთვალოთ, რომ მოძრავი რეპერის (AA_i) წიბოები წარმოადგენენ ω^i წირებისადმი მხებებს A წერტილში. როცა A წერტილი გადაადგილდება V_3 ზედაპირზე, რომელზეც მოცემულია $(\omega^1, \omega^2, \omega^3)$ ბადე, მაშინ თითოეული A_i წერტილი E_4^* სივრცეში აღწერს, ზოგად შემთხვევაში, 3-ზედაპირს (A_i)-ს და მათზე ბუნებრივად აღმოცენდებიან წირთა $(\omega^1, \omega^2, \omega^3)$ ბადეები.

განვიხილავთ იმ შემთხვევას, როცა წირთა ბადე $(\omega^1, \omega^2, \omega^3)$ V_3 ზედაპირზე წარმოადგენს ფოსის ბადეს (შეუღლებულ-გეოდეზიურ ბადეს უწოდებენ ფოსის ბადეს) და გავარკვევთ (A_i) ზედაპირზე შესაბამისი ბადეები რა შემთხვევაში იქნებიან ასევე ფოსის ბადეები.

ფიბრაციის კვეთის არსებობის პრობლემის შესახებ

სულიკო ხაჟომია

ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო

khazho@rmi.acnet.ge

მოხსენება ეხება ფიბრაციის კვეთის არსებობის პრობლემას. განხილული იქნება ბერიკაშვილის წინააღმდეგობის ფუნქტორის ერთი ვარიანტი.

აღნიშნული ფუნქტორი განსაზღვრულია ფიბრაციათა სიმრავლეზე და მნიშვნელობებია ბაზის კოჯაჭვები კოეფიციენტებით ფენის ჰომოტოპიის ჯგუფებში. გაკეთებულია ფიბრაციათა სიმრავლის ფაქტორიზაცია გარკვეული ექვივალენტობით. შედეგად მიღებულია წინააღმდეგობის ფუნქტორის ვარიანტი ნაწილობრივ დალაგებულ სიმრავლეთა კატეგორიაზე.

Topology of Configuration Spaces

GIORGI KHIMSHIASHVILI

I. Chavchavadze State University , Andrea Razmadze Mathematical Institute,

Tbilisi, Georgia

We present a number of results concerned with homology groups of configuration spaces of planar polygonal linkages. First, a general method for computing the homology groups of intersection of quadrics will be described which enables one, in particular, to find the homology of configuration spaces. Next, a general estimate for the Euler characteristic of configuration space will be given which appears asymptotically exact. Finally, several concrete examples of such computation will be presented in the case of planar pentagonal linkages.

В. Сесадзе, В. Кекенадзе
Грузинский технический университет, Тбилиси

Геометрическое моделирование и графические методы решения задач

Геометрическое моделирование любого объекта, также как общее математическое моделирование, подразумевает четыре основных этапа:

1. Построение геометрической модели.
2. Исследование (анализ) модели.
3. Изучение годности модели.
4. Коррекция модели.

При построении геометрической модели, как правило, различают два вида моделей: графическую (теоретическую) и экспериментальную. Графические модели строятся на базе теоретических закономерностей объекта; экспериментальные модели получаются с помощью выявления свойств исследуемого объекта – измерений парамеиров.

Метод геометрического моделирования, сводящий исследование явлений внешнего мира к математическим задачам, занимает ведущее место среди других методов исследования, особенно в связи с появлением ЭВМ. Он позволяет проектировать новые технические средства, работающие в оптимальных, для решения сложных научно-технических задач, прогнозировать новые явления. Геометрические модели проявили себя как важное средство управления. Они применяются в самых различных облястях знангия, стали необходимым аппаратом в области экономического планип=рования и являются важным элемеентом автоматизированных систем управления. Все это зародило появление нового направления под названием компьютерной графики.

მათემატიკური განათლება და მათემატიკის ისტორია

MATHEMATICS EDUCATION AND HISTORY OF MATHEMATICS

მართკუთხა სამკუთხედში გარეჩახაზული წრეწირების რადიუსების ფორმულები

ავალიანი ზებურ ნოდარის ძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამკუთხედში გარეჩახაზული წრეწირი ეწოდება წრეწირს, რომელიც ეხება ერთ გვერდს და დანარჩენი ორის გაგრძელებას.

სამკუთხედში ჩახაზული და გარეჩახაზული წრეწირების რადიუსების გამოსათვლელი ფორმულები მათემატიკურ ლიტერატურაში გვაქვს შემდეგი:

$$r = \frac{S}{p}, \qquad r_a = \frac{S}{p-a}, \qquad r_b = \frac{S}{p-b}, \qquad r_c = \frac{S}{p-c}.$$

მართკუთხა სამკუთხედისთვის გვაქვს ჩახაზული წრეწირის რადიუსის გამოსათვლელი უფრო მარტივი ფორმულა:

$$r = \frac{a+b-c}{2}.$$

მაგრამ არ არის მსგავსი ფორმულები გარეჩახაზული წრეწირის რადიუსებისათვის. ჩვენ გამოვიყვანეთ ეს ფორმულები, კერძოდ, დავამტკიცეთ, რომ მართკუთხა სამკუთხედში გარეჩახაზული წრეწირების რადიუსები გამოითვლება შემდეგი ფორმულებით:

$$r_a = \frac{c+a-b}{2}, \qquad r_b = \frac{c+b-a}{2}, \qquad r_c = \frac{a+b+c}{2}.$$

აღსანიშნავია, რომ ეს ფორმულები არ მიიღება ზოგადის გამარტივებით, მიიღება უშუალოდ ძალიან მარტივად და ამიტომ კარგი იქნება მისი შეტანა სასკოლო სახელმძღვანელოში.

ლიტერატურა

1. Д. О. Шклярский, Н. Н. Ченцов, И. М. Яглом. Избранные задачи и теоремы элементарной математики. часть 2. Москва, 1952.
2. Т. Н. Яковлев, Пособие по математике, наука, 1985.

ნატურალურ რიცხვებზე არითმეტიკული მოქმედებების თეორიული საფუძვლის ზოგიერთი საკითხი

ბაკურ ბაკურაძე

ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

ნატურალური რიცხვის ცნება მათემატიკის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა. ნატურალური რიცხვი განმარტებულია როგორც არაცარიელი სასრული სიმრავლის კარდინალური რიცხვი. ნატურალურ რიცხვთა სიმრავლე წარმოდგენილი ბუნებრივი რიგით იწოდება ნატურალურ მწკრივად.

მოცემულ საკითხზე კანტორის აზრი ძირითადად მიმართულია იქეთკენ რომ რიცხვებზე მოქმედებები წარმოდგენილი ყოფილიყო სიმრავლეებზე სათანადო ოპერაციების საშუალებით. მოხსენებაში განხილულია ნატურალურ რიცხვებზე არითმეტიკული მოქმედებები: შეკრება, გამოკლება და გამრავლება. მათ საფუძვლად დაედო: თანაუკვეთ სიმრავლეთა გაერთიანების, სიმრავლის და მისი საკუთრივი ნაწილის სხვაობის და სიმრავლეთა დეკარტული ნამრავლის ოპერაციები. სიმრავლეთა გაერთიანება არის, ნატურალურ რიცხვთა შეკრების თეორიული საფუძველი. სიმრავლის და მისი საკუთრივი ნაწილის სხვაობა არის ნატურალურ რიცხვთა გამოკლების თეორიული საფუძველი. სიმრავლეთა დეკარტული ნამრავლი არის გამრავლების თეორიული საფუძველი. განხილულია ნატურალურ რიცხვზე მოქმედებების თვისებები.

ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემი სამასწავლებლო კურსებისა და ინსტიტუტების შესახებ XIX საუკუნის საქართველოში

ლ. ბერიძე, რ. გოგიბერიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

მოხსენებაში მოტანილი იქნება ზოგიერთი სტატისტიკური და ისტორიული ფაქტისაქართველოში XIX საუკუნის განათლების სისტემის შესახებ.

საინტერესოა სტატისტიკური მონაცემები გორის სამასწავლებლო სემინარიის მიერ 1879-1901 წლებში გამოშვებულ მასწავლებელთა შესახებ.

სტატისტიკაში მოცემული შედეგიც: ეროვნების მიხედვით გამოშვებულ მასწავლებელთა შორის კავკასიის მხარეში დაბადებული რუსი ეროვნებისაა 44, ქართველი – 117, მათ შორის ქართლელები, კახელები, იმერლები – 111, გურულები – 6, სომხები – 64, თათრები – 108, მთიელები სულ – 28, მათ შორის ოსები – 9, ლეკები – 6, აფხაზები – 6, ყაბარდოელები – 3, ჩერქეზები – 1, ქისტი – 1, სხვა ეროვნებისანი – 22, მათ შორის: გერმანელები – 3, ბერძნები – 16, ყირგიზი – 1, მეგრელები – 2, ირანელი – 1.

წწ.	გამოშვებულთა რიცხვი	მათ შორის განყოფილებიდან	წწ.	გამოშვებულთა რიცხვი	მათ შორის განყოფილებიდან
1879	6	–	1891	14	7
1880	14	–	1892	14	5
1881	19	3	1893	12	5
1882	26	8	1894	13	5
1883	16	7	1895	17	6
1884	19	3	1896	17	6
1885	27	6	1897	14	6
1886	18	3	1898	16	5
1887	19	5	1899	16	8
1888	13	3	1900	19	4
1889	20	6	1901	18	7
1890	12	6	სულ	373	113

სარწმუნოების მიხედვით მართმადიდებელი – 194, სომეხი გრიგორიანელი – 61, სომეხი კათოლიკი – 3, ლუთერანი – 3. მუსულმანი – 123.

1901 წლის 31 მაისს სემინარიაში ირიცხებოდა 98 მოსწავლე [80], [119].

1911 წლისათვის კავკასიის ოლქის სასკოლო ქსელი შემდეგი დირექციებით იყო წარმოდგენილი: ბაქო–დაღესტნის დირექცია, ქუთაისის დირექცია – ბათუმისა და სოხუმის ოლქებით (ეს უკანასკნელი 1912 წლიდან დამოუკიდებელი ინსპექცია). თბილისი-ერევნის ინსპექცია, ყარსის ინსპექცია ორი რაიონით და შავიზღვისპირა ინსპექცია.

გარდა ამისა გადაწყდა გაფართოებულიყო სასკოლო ქსელი და შეუდგნენ კიდეც გადაწყვეტილების განხორციელებას კავკასიის შემდეგ ქალაქებში: ალექსანდროპოლი, ანაპა, ბაქო, ვლადიკავკაზი, გეორგიევსკი, გროზნო, მაიკოპი, ნოვოროსიისკი, სტავროპოლი, თბილისი.

1909 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ხელმძღვანელობით შედგა ჩრდილოეთ კავკასიის სტავროპოლის გუბერნიის ყუბანისა და ტერის ოლქებისა და შავიზღვისპირა გუბერნიის სახალხო სასწავლებლების ინსპექტორებისა და დირექტორების თათბირი.

1912 წლის 26 ივნისს – 6 ივლისს ქ. ბორჯომში ჩატარდა დირექტორებისა და ინსპექტორების მეორე თათბირი, რომელზეც დაისახა სკოლებში სწავლების გაუმჯობესების გზები, დღის წესრიგში იდგა აგრეთვე სწავლების კონტროლის საკითხი. მოხსენება გააკეთა საოლქო ინსპექტორმა ა.ი.სლოვინსკიმ. მან აღნიშნა, რომ ყველაზე სუსტი მომზადება უჩვენეს ქუთაისის (ხონის) სამასწავლებლო სემინარიაში შემსვლელმა იმ ახალგაზრდებმა, რომლებმაც დაამთავრეს ქუთაისის გუბერნიის დაწყებითი სასწავლებლები. სემინარიაში შესასვლელად წერით გამოცდებზე გასულა 110 მოსწავლე, ზეპირ გამოცდაზე დაშვებულ იქნა და გააგრძელა გამოცდების ჩაბარება – 48 მოსწავლემ. მომხსენებელმა მსმენელთა ყურადღება მიაპყრო მოსწავლეთა მიერ გამომჟღავნებულ ტიპიურ ხარვეზებს.

ღია ანუ საჩვენებელი გაკვეთილები და მათი ანალიზი XIX საუკუნის საქართველოში

ლ. ბერიძე, რ. გოგიბერიძე, რ. გაგნიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ოლქის საშუალო სკოლებში მათემატიკის სწავლებაში მიღწევებთან ერთად შენიშნავს ზოგიერთ ხარვეზს. რის მიზეზიც ახალგაზრდა მასწავლებელთა არასაკმარისი მომზადება იყო. თითქმის პირდაპირ სკოლის მერხიდან ბევრი ახალგაზრდა ჰკიდებდა ხელს ამ მძიმე და მეტად პასუხსაგებ საქმეს, ამიტომ მზრუნველმა გადაწყვიტა სკოლებში მათემატიკის სწავლების გაუმჯობესება. ამ მიზნით 1907 წელს შეიქმნა სპეციალური კომისიები სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებთან მათემატიკის მასწავლე-ბელთა მონაწილეობით.

1912 წელს მზრუნველის განკარგულებით, ამ კომისიების პარალელურად, კავკასიის ყველა პუნქტში, სადაც რამოდენიმე საშუალო სასწავლო დაწესებულება იყო, ჩამოყალიბდა საერთო კომისია, ამ პუნქტში სხვადასხვა სკოლებში მომუშავე მათემატიკის მასწავლებელთა მონაწილეობით.

გამოცემულია შრომები 1911-1912 სასწავლო წელს მათემატიკის საგნობრივი კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ, რომელსაც თავი მოუყარა, რედაქტირება გაუკეთა და გამოსცა ხელნაწერის უფლებით თბილისის მესამე ვაჟთა გიმნაზიის დირექტორმა ზ. კ. კრამერენკომ [94].

კომისიები ხშირად აწყობდნენ მათემატიკის ღია, საჩვენებელ გაკვეთილებს, მოყვანილი ასეთი გაკვეთილების ანალიზის ოქმები, რომელთაგან დაწვრილებით გვინდა გადმოვიტანოთ ამ ნაშრომში საუკეთესოდ აღიარებული, ასევე ბევრი ნაკლის მქონე რამოდენიმე გაკვეთილის გარჩევის ოქმი. ასევე მოკლე ამონაწერები სხვადასხვა კომისიათა მიერ ჩატარებული სხდომების ოქმებიდან.

ეკონომიკური ხასიათის ამოცანები და მათემატიკის სწავლების შინაარსი XIX საუკუნის საქართველოში

რ. გაგნიძე, ა. მოსიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

1879 წელს შექმნილ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლების ოთხ განყოფილებაში არითმეტიკასა და პრაქტიკულ გეომეტრიას ეთმობოდა 6 საათი კვირაში ყოველ განყოფილებაზე, ალგებრისათვის III და IV კლასებში გამოყოფილი იყო 2-3 საათი, გეომეტრიისათვის I-III კლასებში – 2-2 საათი, ხოლო IV კლასში – 3 საათი.

არითმეტიკის ზოგად კურსში მასალა კლასებზე ძირითადად ასე ნაწილდებოდა: მოსამზა-დებელ განყოფილებებზე მოსწავლეებს უნდა გაევლოთ ოთხი არითმეტიკული მოქმედება მთელ რიცხვებზე, რუსული საანგარიშოს ხმარება, ამოცანების წერითი და განსაკუთრებით, ზეპირი ამოხსნა, გამრავლების ტაბულა ხშირად სახმარი ზომები (რუსული და ქართული), ოთხი არითმეტიკული მოქმე-დება შედგენილ სახელდებულ რიცხვებზე.

I კლასი: 1) ოთხი არითმეტიკული მოქმედების გამეორება შედგენილ სახელდებულ რი-ცხვებზე და ამოცანებში. 2) ათწილადები, შედარება, მოქ-მედებები მათზე. 3) მარტივი წილადები, წესიერი, არაწესიერი, შერეული, შეკვეცა, შედარება, მოცემული რიცხვის ნაწილის პოვნა, ნაწილით რიცხვის პოვნა, მარტივმნიშვნელიანი წილადების შეკრება. 4) მარტივი და

შედგენილი რიცხვები, გაყოფადობის ნიშნები, რიცხვის დაშლა მარტივ მამრავლებად, უ.ს.ჯ. და უ.ს.გ., წილადების შეკრება-გამოკლება.

II **კლასი:** 1) I კლასში ნასწავლი მასალის გამეორება. 2) ათწილადების გადაქცევა ჩვეულებრივ წილადად და პირიქით (ორი შემთხვევა), სასრული, უსასრულო, პერიოდული ათწილადები, წმინდა და შერეული პერიოდული ათწილადების გადაქცევა ჩვეულებრივ წილადად. 3) საზომთა მეტრიკული სისტემა. 4) არითმეტიკული და გეომეტრიული თანაფარდობა.

III **კლასი:** 1) პროცენტების წესები. 2) თამასუქების ანგარიში (კომერციული). 3) ჯაჭვური წესი. 4) ამხანაგობის წესები (პროპორციული გაყოფა). 5) შერეული წესები (I და II გვარის).

IV **კლასი:** არითმეტიკის მთელი კურსის გამეორება.

როგორც ვხედავთ, დიდი ადგილი აქვს დათმობილი „ამხანაგობის წესებთან", „თამასუქებთან", „სამმაგ წესებთან" დაკავშირებულ საკითხებს, რომელთა სწავლება სკოლებში დღევანდელი ეკონომიკური საკითხების მოზღვავებისა და საჭიროების პირობებშიც არ იქნებოდა ურიგო. წლების განმავლობაში ხომ ამ საკითხებს გაკვრითაც არ ახსენებდნენ საშუალო სკოლებში. საბედნიეროდ, დღეისათვის მდგომარეობა შეიცვალა და სკოლებში უკვე ისწავლება ეკონომიკის საკითხები. საბაზრო ეკონომიკას მოსწავლე, ახალგაზრდა საშუალო სკოლაშივე უნდა ვაზიაროთ, რადგან სკოლაში ამ საკითხების სწავლება უფრო უშუალო, უფრო „სუფთა", უფრო კანონებზე აგებული იქნება, ამავე დროს ბავშვს თავიდანვე ეცოდინება, რა საკითხების ცოდნაა აუცილებელი ცხოვრებისათვის, დაინახავს კავშირს საგანსა და ცხოვრებას შორის.

სასკოლო საგანმანათლებლო პროცესის ზოგიერთი აქტუალური პრობლემის შესახებ

გურამ გოგიშვილი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია

პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

guram@mzera.com

მოხსენებაში გაანალიზებულია მათემატიკის ამჟამად მოქმედი სასკოლო პროგრამის ძირითადი პრიორიტეტები, ახალი სახელმძღვანელოების შექმნისა და ფუნქციონირების პროცესი.

ხაზგასმულია სასწავლო გეგმების დახვეწაზე მუშაობისას პედაგოგებთან თანამშრომლობის დიდი მნიშვნელობა.

განხილულია მოსწავლეებთან, მშობლებთან, სასწავლო პროგრამებთან და თვით სახელმძღვანელოებთან მასწავლებელთა დამოკიდებულების აქტუალური საკითხები და საგანმანათლბლო პროცესში მოსწავლის როლი, მის მიერ მიღწეული შედეგის მნიშვნელობა.

წარმოჩენილია ის პრობლემები, რაც ახლავს ახალი სასწავლო თემატიკის, სასწავლო პროცესში ახალი დამოკიდებულებების დამკვიდრებას, ცოდნის ოდენობისა და ცოდნის ხარისხის ურთიერთდამოკიდებულებაში პრიორიტეტების განსაზღვრას.

მოხსენებაში წარმოდგენილია ამ პრობლემათა ანალიზი და შემოთავაზებულია მათი გადაჭრის შესაძლო გზები.

მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების განვითარება ამოცანების მათემატიკური წარმოდგენის სწავლების საშუალებით

დიმიტრი გოშხეთელიანი

ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

საკითხის დასმისას, აუცილებელია, ვასწავლოთ მოსწავლეებს ამოცანების დამოუკიდებლად ამოხსნა, რომ მათ თავად შეძლონ ამოცანის ამოხსნის ხერხის მოძებნა ამ დროს წარმოიქმნება სხვადასხვა სიძნელე.

იმისათვის, რომ ამოცანა, მისი ამოხსნის ძიება, გამოყენებული იქნეს მოსწავლეთა აზროვნების, მათი დამოუკიდებელი მუშაობის განვითარებისათვის საჭიროა, შემუშავდეს ამოცანის ამოახსნის ძიების ზოგადი ხერხი, რომელიც უნდა ავუხსნათ, აღვუწეროთ მოსწავლეებს.

ამის მისაღწევად შეიძლება გამოყენებული იქნეს სახელმძღვანელოში მოთავსებული ამოცანებიც, რომელიც გამოუმუშავებს მოსწავლეებს (ჩვენი დაკვირვებით) უფრო რთული ამოცანების ამოხსნის უნარს, ე.ი. განუვითარებს მათ დამოუკიდებელ აზროვნებას.

"ფსიქოლოგებისა და პედაგოგ-მეთოდისტების მიერ ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე აღიარებულია, რომ მოსწავლის მიერ მასალის ათვისება უფრო კარგად მიმდინარეობს არა სახელმძღვანელოზე დაყრდნობით ან მასწავლებლის საუბრის შემდეგ, არამედ მოსწავლის პირადი კვლევა – ძიების პროცესში, რომლის დროს მას შეუძლია თავისუფლად განავითაროს თავისი შემოქმედებითი აქტიურობა".

სწორედ მოსწავლის მიერ პირად კვლევა-ძიებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ის ამოცანას წარმოადგენს მათემატიკურად და შემდეგ ეძებს მის განზოგადებებს.

ამოცანის მათემატიკური წარმოდგენა განსაკუთრებით იმ სიძნელეების დაძლევაში გვეხმარება, რაც დ. პოიას მიერ შემოთავაზებული ამოცანის ამოხსნის ძიების სქემის პირველ ეტაპს – "ამოცანის დასმა და მისი შინაარსის კარგად ათვისება" – ახასიათებს.
სტატიაში მოყვანილია თუ რა სიძნელეები შეიძლება ახლდეს ამ პირველ ეტაპს და როგორ შეიძლება დაიძლიოს ისინი ამოცანის მათემატიკური წარმოდგენით.

Representation of Numbers by Certain Quadratic Forms in Seven and Nine Variables

TEIMURAZ VEPKHVADZE

Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia

t-vepkhvadze@hotmail.com

Some entire modular forms of weight 7/2 and 9/2 are constructed. The Fourier coefficients of these modular forms have a simple arithmetical sense. This allows one to get the Liouville type formulas for the number of representations of positive integers by positive diagonal quadratic forms in seven and nine variables with integral coefficients.

მათემატიკა XIV-XIX საუკუნეების საქართველოში

ალექსანდრე ლაშხი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის (1668-1725) პირველ გვერდზე მოთავსებულია ქართული ანბანური ნუმერაციის და შესაბამისი არაბულ-ინდური, ე. ი. თანამედროვე ნუმერაციის ცხრილი. იქვე ვხვდებით ევკლიდეს „საწყისებიდან“ ამოღებულ წერტილის, წირის, სიბრტყის და სხეულის განსაზღვრებებს. სხვადასხვა ევროპული წყაროდან მოყვანილია ალგებრის, გეომეტრიისა და არითმეტიკის განსაზღვრებანი და ზოგიერთი საინტერესო ცნობა ასტრონომიიდან. მნიშვნელოვანია საბას ცნობები ქართული საზომების შესახებ.

შემდეგი ცნობები საქართველოში მათემატიკური ცოდნის შესახებ მოგვეპოვება ვახტანგ VI-ის (1676-1736) ნაწერებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასტრონომიული ნაშრომი „ვარსკვლავთმრიცხველობა“, რომელიც დაწერილია ვახტანგ VI-ისა და მისი თანამედროვეების მიერ. იგი შეიცავს XV საუკუნის დიდი უზბეკი ასტრონომის ულულ-ბეკის ასტრონომიული ნაშრომის სრულ თარგმანს ირანულიდან, რომელიც თვით ვახტანგ VI-ს ეკუთვნის. მასში მოყვანილია 834 ქალაქის გეოგრაფიული კოორდინატები. ხოლო თვით ვახტანგ VI-ის ნაშრომში – 1276 ქალაქისა. 1033 ქალაქის გეოგრაფიული კოორდინატების შესახებ ცნობები ვახტანგ VI-ს ამოღებული აქვს ბერძნული, დასავლეთ ევროპული და რუსული წყაროებიდან. მათ შორისაა ქ. გორის კოორდინატებიც, რაც იმას ნიშნავს, რომ XVII საუკუნეში ქართველებმა იცოდნენ ადგილის გეოგრაფიული კოორდინატების განსაზღვრა.

დასავლეთ ევროპულ ენაზე უღულ-ბეკის ნაშრომი პირველად გადათარგმნეს 1863 წელს, იგი თარგმნა ფრანგმა სედილომ. ე. ი. ეს წიგნი ქართულ ენაზე უფრო ადრეა თარგმნილი, ვიდრე ევროპულზე. იგი შეიცავს ე. წ. არაბების ტრიგონომეტრიას. ცნობილია, რომ ევროპელებმა ტრიგონომეტრიის საფუძვლები არაბებისაგან გადაიღეს. მაშასადამე, ქართველებმა ტრიგონომეტრიის საფუძვლები პირველად გადაიღეს არა ევროპელებისაგან, არამედ არაბებისაგან.

ვახტანგ VI-ის ხელმძღვანელობით ქართველებს ირანულიდან უთარგმნიათ ას-ტრონომიულ-ასტროლოგიური ნაშრომი „ქმნილებისა ცოდნა“ და დაუბეჭდავთ თბილისის სტამბაში 1721 წელს, რომელიც ასევე შეიცავს არაბული ტრიგონომეტრიის საფუძვლებს.

ქართველების მიერ ევროპელთა ტრიგონომეტრიის გაცნობის პირველი საბუთია მიხეილ ელიაშვილის მიერ რუსულიდან ნათარგმნი ნაშრომი „სივაკის ზომა ანუ

პლანიმეტრია“, რომელიც გამოიცა 1726 წელს ვახტნგ VI-ის რედაქციით. ნაშრომი ძირითადად წარმოადგენს პრაქტიკულ გეომეტრიას, მაგრამ შეიცავს აგრეთვე არითმეტიკის საკითხებს, ტრიგონომეტრიის ძირითად ფორმულებს და მათ გამოყენებას სხვადასხვა ამოცანის ამოხსნისათვის. ნაშრომის პირველი ნაწილი შეიცავს არითმეტიკისა და ტრიგონომეტრიის ელემენტებს, მეორე ნაწილი კი – მათემატიკურ ამოცანებს სამხედრო საქმეში, განსაკუთრებით ბალისტიკაში გამოყენებისათვის. ცნობილია ხელნაწერი, რომელიც XVII საუკუნის დასაწყისში ფრანგულიდან გადაუთარგმნია დიმიტრი ციციშვილს. მასში მოცემულია აგრეთვე ცნობები ქართულ საზომთა სისტემის შესახებ. ხელნაწერი შეიცავს პროგრესიებს, კვადრატული და კუბური ფესვების ამოღების წესებს, სამთა წესს, მარტივ და ათობით წილადებზე მოქმედების წესებს.

არითმეტიკის საკითხებია მოცემული იმ ხელნაწერში, რომელიც 1735 წელს მიხეილ ელიაშვილის მიერაა თარგმნილი კვლავ ვახტანგ VI-ის ხელმძღვანელობით.

1800 წელს გიორგი თარხნიშვილს დაუმთავრებია მათემატიკის სახელმძღვანელოს წერა. ხელნაწერი ორი ნაწილისაგან შედგება: 1. არითმეტიკა, 2. არითმეტიკის ვაჭრობის საქმეში გამოიყენება.

გიორგი თარხნიშვილის ამ ნაშრომის დიდი ნაწილი მიძღვნილია სამთა წესისადმი, ცნობილია, რომ სამთა წესი შეადგენს კომერციული არითმეტიკის ძირითად შინაარსს. მოცემულია ამოცანები ამ წესების ვაჭრობის საქმეში გამოყენებისათვის. ამ ამოცანების ნაწილი თვით თარხნიშვილის მიერაა შედგენილი.

მათემატიკის ქართული ხელნაწერებიდან ყველაზე ვრცელი იოანე ბატონიშვილს (1767-1830) ეკუთვნის. სავარაუდოა, რომ იგი რუსულიდან უნდა იყოს ნათარგმნი. იგი ვრცლად შეიცავს გეომეტრიას და ტრიგონომეტრიას, მოკლედაა მოცემული ანალიზური გეომეტრიის ელემენტები.

1821 წელს დაწერილი ხელნაწერის ავტორია იოსებ ფოცხვერაშვილი. აღნიშნული ნაშრომი ნათარგმნი კი არაა, არამედ – ორიგინალური.

იაკობ გოგებაშვილი – ქართული მათემატიკური სახელმღვანელოების სათავეებთან

ა. ლაშხი, დ. ბურჭულაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

იაკობ გოგებაშვილი დიდ ინტერესს იჩენდა არითმეტიკის სწავლების მიმართაც. აი რას წერდა იგი ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორს: „თქვენგან წარმოდგენილი პროგრამები საზოგადოდ შედგენილნი არიან ცოდნიერად და გვარიანად, მაგრამ შიგა და შიგ ეჭირვებათ დამატება, შეცვლა და განვითარება. არითმეტიკის პროგრამა ძლიერ მოკლედ არის შედგენილი და განვითარება ეჭირვება. პირველი წლისათვის ცოტაა პირველი ათეული. ორი ათეულის ათვისება ადვილად შეუძლიათ შვიდი-რვა წლის ბავშვებს წლის განმავლობაში. აქ საჭიროა რომ მეორე ათეულის სწავლების დროს მასწავლებელმა უმთავრესი ყურადღება მიაქციოს რიცხვის წარმოდგენას ათეულითგან და ცალკეულითგან. მეორე წელიწადს სწავლობენ პირველ ასეულს სრულიად და უმთავრეს ყურადღებას აქცევენ გამოანგარიშების ხერხებს. სწრაფად გაივლიან იმისთანა მარტივ რი-ცხვებს, რომლების შემადგენლობა და თვისება არაფრით არ განირჩევა რაოდენობის გარდა წინა რიცხვებისაგან და შეჩერდებიან იმისთანა რთულ და მრავალმხროვან რიცხვებზედ, როგორიც არიან 48, 49 და სხვანი. დანარჩენ მასალას არითმეტიკისას უნდა მიემატოს გაცნობა უბრალო ნაწილოვანთა და ხსნა

მარტივთა ამოცანათა აღრიცხვის სამკეც კანონიდგან, ამხანაგობის და შერეულის კანონიდგან და სარგებლობის ანგარიშითგან. და ეს შევსებული მასალა განაწილებული იქნას მესამე და მეორე განყოფილების შუა“.

ამრიგად, იაკობ გოგებაშვილი გვევლინება არითმეტიკის პროგრამის შედგენლის როლში.

ი. გოგებაშვილს 1888 წელს შეუმოწმებია გორის მაზრის სოფელ ხელთუბნის სკოლა, სადაც მასწავლებლად მუშაობდა ვაჟა-ფშაველას ძმა, თედო რაზიკაშვილი. „არითმეტიკა ყველა განყოფილებას საშუალოდ შეუსწავლიათ, მარტივ ამოცანებს ადვილად და ჩქარა ხსნიან, მაგრამ რთულ ამოცანებზედ ბევრსაც წვალობენ თვით საუკეთესო მოწაფენი. ამ საგანშიც მასწავლებელს მართებს მომეტებული ცდა და წარმატება“. იაკობის ამ სიტყვებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა ამოცანების ამოხსნის სწორად წარმართვას.

1900 წელს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის მიერ გამოყოფილ კომისიას იაკობის ხელმძღვანელობით შეუმოწმებია ძველი სენაკის სათავადაზნაურო სკოლა. იაკობს, როგორც კომისიის ხელმძღვანელს, გამგეობისათვის წარუდგენია შემოწმების ანალიზი, რომელშიც I განყოფილებაზე არითმეტიკის სწავლების შესახებ წერს: „ოთხს არითმეტიკულ მოქმედებას ოცის საზღვრებში შეგირდები სწრაფად ანგარიშობდნენ, აგრეთვე სწრაფად ხსნიდნენ არართულ ამოცანებს. სწრაფადვე ანგარიშობდნენ რიცხვების ნაწილებს დასახელებულ საზღვრებში“. საზოგადოდ, არითმეტიკის სწავლება ამ განყოფილებაში ძლიერ კარგად დაუყენებია ბ-ნ ს. ჯანაშიას. III განყოფილების ანალიზში კი ნათქვამია: „ნუმერაციაში კარგად არიან გავარჯიშებული. კარგად იციან აგრეთვე ზომები სიმძიმისა, სიგრძისა და სხვა. მაგრამ ამოცანების ამოხსნასა და დასკვნაში, აგრეთვე ოთხ მოქმედებაში, ხშირად ცდებიან. საზოგადოდ, არითმეტიკის ცოდნა მოსწავლეთა მხრივ სრულიად არ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას“.

იაკობ გოგებაშვილი მასწავლებლისაგან მოითხოვდა შეერჩია ისეთი ამოცანები, რომ მოსწავლეს ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოდგომოდა, გარდა ამის, „მასწავლებელმა ანგარიშის სწავლებისას უნდა აამეტყველოს და გააცხოველოს, ცხოვრების სინამდვილეს შეუფარდოს და ამ რიგად ეს საგანი მოსწავლეების საყვარელ საგნად გახადოს, ანგარიშის გაკვეთილებზე შეძენილ ცოდნას მოსწავლე ყოველდღიურ საქმიანობაში უნდა იყენებდეს“ (საიუბილეო კრებული. „ი. გოგებაშვილი“, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1940 წელი). მისი აზრით, „სკოლამ მის ახალგაზრდობას უნდა ასწავლოს გვარიანად წიგნი, გაუხსნას გონება, შეასწავლოს საგნები პედაგოგიური გზით, მიანიჭოს ცოდნა და მისცეს გონებითი ძალა კეთილდღეობის აღსადგენად და დასაცველად. ერთი სიტყვით, მოამზადოს ცხოვრებისათვის“ (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 1, გვ. 217).

ი. გოგებაშვილს გადაწყვეტილი ჰქონია არითმეტიკის სახელმძღვანელოს გამოქვეყნება, მაგრამ ამ განზრახვაზე ხელი აუღია, რადგან: „როცა არითმეტიკა ბატონი ჯაჯანაშვილისა და ბატონი ნატროშვილისა შედგა, ჩვენ დაწყებული გვქონდა ელემენტარული არითმეტიკა სახალხო სკოლებისათვის, მაგრამ მისი დამთავრება აღარ მოვინდომეთ, რათა ამ პირობისათვის ხელი არ შეგვეშალა“ (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. III, გვ. 71). მეთოდისტ ტ. ტყემალაძეს ი. გოგებაშვილის პირად არქივში უნახავს 24 ფურცლიანი რვეული, რომლის 12 ფურცელზე მოთავსებული ყოფილა 164 ამოცანა პირველი და მეორე ათეულის ფარგლებიდან. ეს ხელნაწე-რი გამოქვეყნებულია ი. გოგებაშვილის თხზულებათა მე-9 ტომში. პირველ განყოფილებაში მოთავსებულია 86 ამოცანა, მეორე განყოფილებაში – 76 ამოცანა, შემდეგ არის სათაური: „ამოცანები მესამე ათეულისაგან“, რითაც მთავრდება ხელნაწერი.

საინტერესოა, რომ გოგებაშვილის მიერ შედგენილი ბევრი ამოცანა მოითხოვს რამდენიმე ამონახსნის მიღებას. მაგალითად, „რამდენ ყმწვილს შეიძლება დავურიგოთ 6 კაკალი თანასწორად და რამდენი კაკალი ერგება თითოსა?“ აქ მოსწავლემ უნდა იფიქროს, რომ 6 კაკალი თანაბრად შეიძლება დაურიგდეს 6, 3, 2, და 1 ყმაწვილს და მოქმედება გაყოფით გაიგოს, თითოეულ შემთხვევაში რამდენი კაკალი შეხვდება თითოეულ ყმაწვილს. გოგებაშვილი ყოველთვის მოითხოვდა სწავლების ცხოვრებასთან მტკიცე კავშირს და მიღე-ბული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას, „ზურგი უნდა შევაქციოთ ყალბ ცოდნას და ფორმულების ზეპირობას და შევუდგეთ შეძენას ნამდვილის, ჭეშმარიტის ცოდნისას“.

მათემატიკური მოდელირებისა და კომპიუტერული დაპროგრამების მეთოდები ქართული ლექსწყობის ძირითადი პარამეტრების გამოთვლაში

ა. ლაშხი*, ე. ჩხარტიშვილი**

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
**შ. რუსთაველის უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო

ლექსის სტრუქტურული მოდელი წარმოადგენს ევოლუციურ დინამიკურ სისტემათა ერთ-ერთ კერძო სახეს (თვითორგანიზებად იერარქიულ ინფორმაციულ სისტემას), ამიტომ მისი განვითარების პროცესები შეიძლება დადგინდეს სინერგეტიკის, ფრაქტალებისა და ქაოსის თეორიის მეთოდებით.

ამ მეთოდის ანალიზი, შესაბამისი მატემატიკური და პროგრამული საშუალებები, აგრეთვე, მათი გამოყენების ხერხები ქართული ლექსწყობის ძირითადი პარამეტრების გამოსათვლელად წარმოადგენს კვლევის საგანს.

ქართული ლექსმცოდნეობითი ანალიზის თანამედროვე მეთოდებით ლექსის ცალკეულ სტრიქონთა ავტორისეული ინტერპრეტაციის დადგენა შეუძლებელი. შემოთავაზებული კომპიუტერული ანალიზით (პროგრამა 1) შესაძლებელია დადგინდეს ავტორისეული პარამეტრები და პერსპექტივაში რომელიმე (უავტორო) ლექსი მივაკუთვნოთ რომელიმე პოეტს, ან მიახლოებით განვსაზღვროთ პოეტის რომელ პერიოდს ეკუთვნის უთარიღო ლექსი, შესაძლებელია, ვივარაუდოთ, თუ რომელია უფრო ახლოს ორიგინალთან სტრუქტურისა და ძირიტად პარამეტრთა დამოკიდებულების თვალსაზრისით.

ასო-ბგერების ნებისმიერ ქაოსურ მოძრაობაში ყოველ უასოს გამეორების ალბათობა თანაბარია, მაგრამ სხვადასხვა ენაში გამოიკვეთება უპირატესი ბგერები.

იოანე ზოსიმემ თავის ,,ქებაი და დიდება ქართულია ენისაი‘‘-ში ხოტბა შეასხა ქართულ ენას. მისი რწმენით ქართული ენა განსაკუთრებულია. თუკი ანაგრამული პრინციპის გამოყენებით ყველაზე ხშირი ასო-ბგერებისაგან ავაწყობთ სიტყვებს, მაშინ ნებისმიერ ქართულ ტექსტში (და განსაკუთრებით პოეტურ სტრიქონებში) იკითხება სიტყვა ,,მესია‘‘, რაზეც მიგვანიშნებდა კიდეც იოანე ზოსიმე.

ტექსტის მოცემული კომოპიუტერული პროგრამით (პროგრამა 2) ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოაღნიშნული ტენდენცია (მისწრაფება ,,მესია‘‘-საკენ) ჩვეულებრივ (პროზაულ) ტექსტებთან შედარებით პოეტურ სტრიქონებში უფრო მძლავრია.

პოეტურ ნაწარმოებებში მარცვალთა მონაცვლეობაზეა დამყარებული გარკვეულია ჰარმონიის წარმოშობა. იგი მეტ-ნაკლებად განსაზღვრავს ლექსის რიტმულ სტრუქტურასაც. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია და პერსპექტიული სიახლეა ლექსმცოდნეობაში აღნიშნული პრობლემის კომპიუტერულ-პროგრამული კვლევა, რაც ზრდის მეცნიერ-მკვლევარის შრომის

ნაყოფიერებას. აღნიშნულ პროგრამას დიდი დახმარების გაწევა შეუძლია მოცულობითი ინფორმაციების დამუშავებისა და მოწოდების საქმეში.

P.S. *ქართული ლექსწყობის მათემატიკური მოდელირების კვლევებს საფუძველი ჩაუყარა აწ განსვენებულმა გურამ თევზაძემ. მოხსენება ეძღვნება მის ხსოვნას.*

მათემატიკური განათლების სათავეებთან საქართველოში

ალექსანდრე ლაშხი, ფიქრია ღურწკაია, მაია ჯაფოშვილი

მიუხედავად მრავალი სხვა ნეგატიური მოვლენისა, საქართველოს რუსეთთან შეერთებამ ამ მხრივ ერთგვარი პოზიტიური როლი შეასრულა. XIX საუკუნის საქართველოში ნელ-ნელა იქმნება განათლების ქსელი და ერთიანი სისტემა, დგება სასწავლო პროგრამები და გეგმები, ყალიბდება სხვადასხვა სახის სასწავლებლები: სასულიერო სემინარიები, რეალური სასწავლებლები, გიმნაზიები, სამასწავლებლო ინსტიტუტები და სხვა. იქმნება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დღის წესრიგში დგება უნივერსიტეტის გახსნის აუცილებლობა.

ჰუმანიტარული დარგებისაგან განსხვავებით, ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების (მათემატიკა, ფიზიკა, ასტრონომია და სხვა) სწავლება საქართველოში, არარუსულ სასწავლებლებშიც კი ძირითადად ცენტრალიზებული, სტანდარტული სახით გადმოიტანებოდა რუსეთიდან. ამ მხრივ ქართულმა პედაგოგიურმა სიტყვამ ერთგვარად დაიგვიანა.

პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით მოგვიანებით გადაიდგა: ვახტანგ თულაშვილი (1862), მიხეილ ყიფიანი (1884), რაჟდენ ჯაჯალაშვილი (1886), ილია ჟღენტი (1889), ანტონ ნატროშვილი (1889).

XX საუკუნის დასაწყისისათვის (20-იანი წლები) უკვე გვაქვს რამდენიმე ათეული ორიგინალური ქართული სასკოლო სახელმძღვანელო მათემატიკის ყველა დარგში (ანტონ ნატროშვილი, ეგნატე ხრამელაშვილი, მიხეილ ყიფიანი, სიმონ ოცხელი, ალექსანდრე დევიძე, ათანასე ხარაბაძე, დავით პარკაძე და სხვები). იქმნება საუნივერსიტეტო მათემატიკური ლიტერატურა (ანდრია რაზმაძე, ანდრია ბენაშვილი, არჩილ ხარაძე, გიორგი ნიკოლაძე, ლევან გოკიელი), იხვეწება და სრულყოფილი ხდება ქართული მათემატიკური ენა (ტერმინოლოგია).

მეცნიერების ყველა დარგს თავისი განვითარების ისტორია აქვს. მათემატიკის სწავლების და მეთოდიკის განვითარების ისტორიაც ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. საქართველოში მათემატიკის სწავლებისა და მეთოდიკის განვითარებისა და ისტორიის შესწავლის მიზნით შესრულებულია რამოდენიმე საინტერესო ნაშრომი (უშ. ობოლაძე, დ. ცხაკაია, ათ. ხარაბაძე, პ. ღვინაძე, ა. ბენდუქიძე, თ. ებანოიძე, ვ. პარკაძე, აბ. მიქაძე). მიუხედავად ამისა, კიდევ რჩება საკმაო რაოდენობით ფაქტიური მასალა შეუსწავლელი და გამოუკვლელი.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ფართო საზოგადოებისათვის შედარებით უცნობი ქართველი ავტორის, ილია ოქროპირის-ძე ჟღენტის ნაშრომი – “Примърноя ръшеноя задачъ по математикъ, Тифлисъ, 1889 год”.

ეს არის საკმაოდ მაღალი დონის ნაშრომი, რომელიც შეიცავს უმაღლესი მათემატიკის ელემენტებსაც და განკუთვნილია უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვისაც. ტიპოგრაფიულად ნაშრომი უმაღლეს დონეზეა გამოცემული. გამოცემის ხარისხი და დახვეწილობა დღესაც კი შესაშურია. ერთი თვალის გადავლებითაც ნათელი ხდება, რომ იმდროინდელ საქართველოში, საკმაოდ მაღალი მოთხოვნებია მათემატიკისადმი. შეიძლება ითქვას, რომ ეს დონე სავსებით შეესაბამება დღევანდელს. უფრო მეტიც, ბევრ შემთხვევაში აღემატება კიდეც თანამედროვე მოთხოვნებს.

ბუნებრივია, რომ ამ ნაშრომის მოკვლევა, მისი საფუძვლიანი შესწავლა და შეფასება ახალი სიტყვაა ქართული მათემატიკის და მეთოდიკის განვითარების ისტორიაშიც. იგი უეჭველად სასარგებლოა ქართული მათემატიკური ისტორიოგრაფიისათვის.

მათემატიკური მეცნიერების ისტორიის სწავლების საკითხისათვის

ნ. მახვილაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

imakhviladze@yahoo.com

მათემატიკური მეცნიერების ისტორიის შესწავლის საკითხი პირველყოვლისა მნიშვნელოვანია თვით მათემატიკისათვის. ამიტომ, ამ საქმით დაკავებულნი უნდა იყვნენ არა მარტო მეცნიერების ისტორიის დარგის სპეციალისტები, არამედ თვით მათემატიკოსებიც.

ამასთან დაკავშირებით სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ათწლეულებში არსებითად გაფართოვდა და გაღრმავდა კვლევითი მუშაობა მათემატიკის, მექანიკის, ფიზიკისა და ასტრონომიის ისტორიის დარგში. ამ სისტემატური კვლევის შედეგია თუნდაც ის, რომ ბოლო წლებში გამოქვეყნდა მრავალი წიგნი, ბროშურა და ცალკეული სტატია იმ მეცნიერების შესახებ, რომელთაც თავიანთი მოღვაწეობითა და შემოქმედებით მნიშვნლოვანი კვალი დატოვეს ერისა და მეცნიერების ისტორიაში.

მეცნიერების ისტორიის მკვლევართათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმის ნათელ წარმოდგენას, რომ მეცნიერების ისტორია არის: ა) საყოველთაო ისტორიის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი; ბ) მეცნიერების, განსაკუთრებით მათემატიკური მეცნიერების, თანამედროვე განვითარების ერთ-ერთი მნიშვნე-ლოვანი პირობა; გ) სწავლების სრულყოფის მეთოდი და მეცნიერული მეთოდოლოგიის ბაზა; დ) აზროვნების პროცესების ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო.

საზოგადოების პროგრესული განვითარების ანალიზისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ საოცარი გზის გაცნობა რომელიც გაიარა ცოდნის გამარჯვებამ უმეცრებაზე კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე. საზოგადოების განვითარების ზოგადი ისტორიის გადმოცემა არ შეიძლება მოვწყვიტოთ მეცნიერების ისტორიისაგან, რადგანაც ეს უკანასკნელი წარმოადგენს ზოგადი ისტორიის ნაწილს, და ამასთანავე, ძალიან მნიშვნელოვან ნაწილს.

მეცნიერების ისტორიის ცოდნა აუცილებელია მეცნიერული კონცეფციის, ფილოსოფიური აზროვნებისა და ზოგადი განათლების პროგრესის შესასწავლად.

მეცნიერების წარსულის ცოდნა საშუალებას იძლევა უფრო კონცენტრირებულო სახით მივიღოთ ცნობები ამა თუ იმ იდეისა თუ ფაქტის წყაროზე, მეცნიერული აზრის ფორმირებაზე.

მეცნიერების ისტორია თავის თავად მნიშვლელოვანია ახალი თაობის აღსაზრდელად;

მეცნიერების ისტორია ძირითადად იყო კაცობრიობის გონების გამარჯვების ისტორია. ალბათ დროა, რომ მეცნიერების ისტორია გახდეს აზროვნების ისტორიაც.

აზრი ყოველთვის გადაწყვეტას ეძებს!

სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს მათემატიკური მეცნიერების ისტორიის ადგილსა და როლს (სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების) სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში.

Probability Theory and Business Statistics for Students

A. MOSIDZE

American University for Humanities

To someone who has never taken a course in statistics, the work of a statistician is often misunderstood. Many think the job of a statistician involves nothing more than clerical operations such as summarizing data, computing averages and percentages, and making charts and graphs. Others see the statistician as special kind of mathematician dealing with a subject most people can't understand and all find boring.

However, the typical statistician finds fulfillment in the profession, not boredom. The field is one with great variety and wide application. It is a constantly growing profession, with each new problem studied spawning numerous other questions to be answered.

With such a variety of perceptions about the work of the statistician, my challenge is to correct the misconceptions you may have, while creating some of the same excitement for you that the statistician finds. First, however we must provide a fairly brief definition of what statistics is as a field of study. That is complicated by the fact that there is much variation in definitions as there are people who attempt the task.

What Is Statistics

Statistics deals with the development and use of methods and techniques to understand and explain chance phenomena. Typically, data are collected from a population. The data are then examined for patterns and characteristics which would help explain the population being studied.

Any process which has outcomes that are unpredictable or uncertain can be better understood by using the principles of statistics and probability. Consider the following typical examples:

1. The weather at a particular location varies from day to day and eludes exact prediction. Meteorologists are interested in the study of weather patterns to try and identify the variables that are most closely linked to the varying weather patterns. If such patterns can be found, more accurate weather forecasts can be made. Data concerning high and low temperatures, wind speed, barometric pressure, cloud cover and type, humidity, etc. are likely characteristics to be studied.

2. Quality control engineers that in any production process there is item to item variability. For example, the quality of a particular metal part may depend on the temperature of the metal when it is produced, the metal thickness, malleability, the speed of the cutting tool and its temperature, and so forth. Data concerning these characteristics might be collected in order to produce a more uniform and higher quality product.

3. A sociologist is studying the causes of divorce and its impact on the family. A sample of divorced families is randomly selected along with a sample of families having stable marriages. Data are collected relative to family sizes, ages of children, income of husband, working or non-working status of the wife, years of marriage prior to divorce, socioeconomic status of the family adjustment problems of the children, the children's success in school and society, and so on. It is hoped that this data will reveal factors that might be related to divorce and its associated problems.

4. At large time-sharing computer facility the number of users and the length of their computing jobs vary from hour to hour. The system operator wants to know how many terminals to provide the users, how much disk storage users need and what kind of rate structure to provide its users to encourage efficient use of facilities. Data is collected on the pattern of usage, length of jobs, CPU times used for each job, used and unused disk storage space. The data are analyzed so that decisions can be made that will help to run the facility more economically and efficiently.

5. A politician, running for elective office, wants to know the likelihood of election as well as what issues are of concern to the electorate. A sample of registered voters is selected from the district. Data about their voting preference, likelihood of voting, age, sex, political persuasion, political issues of concern to the prospective voter, and other related items are collected. Analyzing the data will help the politician better understand the political views of the registered voters in her district.

In these examples, first note the diversity of the settings of the problems – from weather to politics to business to computers operations. In fact, most fields of study, at some phase, collect and interpret data – thus utilizing the concepts of statistics. Secondly, each of the examples discussed above, dealt with uncertainty – unpredictable weather, variations of product quality, unknown political attitudes, and so on. Thirdly, to help solve the problem, data were collected and analyzed to detect any patterns, trends and relationships the data might show. The formal methods that are developed to collect, analyze and interpret data are the subject matter of statistics course. This course will introduce the terminology and vocabulary of statistics and lay the foundation for developing data-analytical skills.

On Application of Visual Conceptual Model Based on Mappings Motion

V. NIKOLAISHVILI, H. MELADZE AND N. TOPURIA

Georgian Technical University,

St. Andrew the First Called Georgian University of The Patriarchy of Georgia,

Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

In order to acquire an information in time and to simplify its structural understanding, it is important its schematic graphical modeling which is a component of realization of computer technologies. Depending on different objectives and situation, this approach requires further perfection. For example, understanding of an information given by the functional relations is simplified through making the graphs in the coordinate system. An explanation of relationships (correspondences, reflections, ordering, etc) between arbitrary sets, requires the graphs to be modified in different forms, that underlies a deeper understanding and development of the skills for representing a structure in the most optimal way. A novelty of the proposed approach, consists in finding the principles of selection of the initial stage to make the modified informational diagram with further generalizations.

Here, the patterns of modeling of transition from simple cases to the complex ones relates to known or unknown matters with the prospects of their possible generalization. A simplified generalization of various adjacent themes through analogies is to be implemented in the course of increasing the semantic load in various directions. An attempt of applying the relation databases may be considered as one of such directions. E.g., the system of essences to be considered will create the cortege, while the essences describing system will create a system of corteges. A certain sequence of grouping the elements by classes is usually more flexible and easily understandable.

Using Euclidean structure in combination with space operations at define various mappings (in particular self-adjoint operators) we obtain analogical modelling of relationships (consequences) of analytical geometry.

From point of view of computerized implementation, a knowledge about the problem will be moved by us into the Object-Role Model (ORM). The ORM is a well-developed tool for a conceptual scheme design, with describing problem area in-question as the objects, which play a certain role. Application of the natural language and the intuitive diagrams (which are added by examples) as well as description of the problem based upon the elementary facts, simplifies considerably the process of projecting.

Finding out of this principle is caused by teachingintensification that is a motivation of effectively achieving of final aims. The main idea of this principle is that object of study contains elements. In these set of elements as on area of definition are constructed mappings by some observation in other sets with mathematical structures. Sometimes such correspondences (particulary, mappings) are given by specially found statistical data. It is accepted, that mappings are denoted by arrows or by directed curves. In the beginning and the end of these arrows sets of definition and value corresponding mappings are attributed. Mappings have different properties and each of them has components: image, pre-image of some concrete value, full pre-image, factor sets of all full pre-images, sets of "leaders" and so on. It is natural that all possible images and other components are connected by some relations.

Describing of these relations by using of traditional overloading problems. In our approach representation of relations occurs by some regularity. It helps to explain teaching material in a simple transparent way.

The NORMA software for Visual Studio.Net 2008 gives the chance to map knowledge in ORM model, whence there are generated the SQL code for our database after we have completed the modeling process.

References

1. V. Nikolaishvili, G. Surguladze, N.Topuria , I. Vacharadze, Training of automation of designing the organizational distributed systems on the basis of UML/NET technologies, III Inter. Kudriavcev conference materials, Moscow, 2008.
2. V. Nikolaishvili,G Surguladze, N Topuria, M. Kachibadze , Categorial approach of working out of data abstract models for object-oriented relational databases XII international scientific Kravchuk conference materials, Kyiv, 2008.

კომპიუტერული გრაფიკა და მისი ადგილი საუნივერსიტეტო განათლებაში

ც. სარაჯიშვილი

შ. რუსთაველის უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო

ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა უმაღლესი სკოლის პედაგოგიკისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის საკითხები იმ კუთხით, რომ გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა გრაფიკული დისციპლინების სწავლების მეთოდიკის თეორიული საფიძვლების შესახებ. ასეთი მიდგომის შედეგად, გრაფიკული დისციპლინების სწავლების მეთოდიკა ეყრდნობა ორ ძირითად ბაზისს: თეორიულ და ექსპერიმენტულ გამოკვლევებს, ორგანიზაციულ ფორმებსა და მეთოდებს, ერთის მხრივ, და სწავლების ფსიქოლოგიურ საფუძვლებს, მეორეს მხრივ.

ამგვარ ბაზაზე დაფუძნებული გრაფიკული დისციპლინების სწავლების მეთოდიკა მოიცავს თავად ამ მეთოდიკის განვითარების ისტორიას, გრაფიკული დისციპლინების შემეცნებით ღირებულებას და მის ადგილს სხვა სასწავლო დისციპლინათა შორის, სასწავლო-მეთოდური ხასიათის ლიტერატურის დამუშავების პრინციპებს, კადრების მომზადების ღონისძიებებს.

ჩვენს წინაშე დასმული მიზნიდან გამომდინარე, შესწავლილია უმაღლესი სკოლის პედაგოგიკისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის საკითხები იმ კუთხით, რომ შევქმნათ გრაფიკული დისციპლინების სწავლების მეთოდიკის საფუძვლები. ასეთი მიდგომის შედეგად, გრაფიკული დისციპლინების სწავლების მეთოდიკა ეყრდნობა ორ ძირითად ბაზისს: ტეორიულ და ექსპერიმენტულ გამოკვლევებს,

საორგანიზაციო ფორმებსა და მეთოდებს, ერთის მხრივ, და სწავლების ფსიქოლოგიურ საფუძვლებს, მეორეს მხრივ.

განხილულია კომპიუტერული გრაფიკის სისტემები და სასწავლო პროგრამების თავისებურებანი ბათუმის უნივერსიტეტში, გაანალიზებულია საგნის პრობლემატიკა, საინჟინრო გრაფიკის მეთოდოლოგიური ასპექტები.

განხილულია რამოდენიმე გეომეტრიული ამოცანა აგებებზე, რომელთათვისაც შეიძლება შედგებილი იყოს ინციდენტობის ცხრილები და რომელთათვისაც შესაძლებელია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა გრაფიკული აგებებისათვის. შესწავლილი სამ და ექვს წერტილებში თანაკვეთების ტეორემები და ჩატარებულია მათთან დაკავშირებული აგებები.

აგებები ჩატარებულია სხვადასხვა ფერის წრფეების საშუალებით – მოცულობა მწვანე წრფეები, შემდგომი ნაბიჯები შავი და ყვითელი ხაზები, ხოლო საბოლოო შედეგი – წითელი ფერით. ეს ერთგავრი მეთოდური ხერხია ნახაზის უკეთ აღქმისა და გაანალიზებისათვის, აგრეთვე, ის ვიზუალი=ური დამახსოვრების უკეთეს საშუალებას იძლევა.

კომპიუტერიზაცია და ინფორმატიკის საგნები მათემატიკურ სპეციალობებზე ბათუმის უნივერსიტეტში

ც. სარაჯიშვილი

შ. რუსთაველის უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო

1991 წელს, პედაგოგიური ინსტიტუტის უნივერსიტეტად გადაკეთების შემდეგ, პედაგოგიური ინსტიტუტის პროგრამები შესაბამისობაში მოვიდა საუნივერსიტეტო პროგრამებთა. რამდენადაც უნივერსიტეტში მხოლოდ მათემატიკის კათედრა არსებობდა, ინფორმატიკის სწავლებაც წარიმართა „მათემატიკის" სპეციალობის პროგრამის შესაბამისად, ისწავლებოდა გამოთვლითი მანქანები, მინი და მიკრო-კომპიუტერები, ინფორმატიკა, დაპროგრამება, ინფორმატიკის პრაქტიკუმი. აღნიშნული კურსის დანიშნულება იყოსტუდენტებისათვის პროზრამირების ძირითადი ცნებების, სტრუქტურების, ალგორითმიზაციის საფუძვლების არსებული ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების სტრუქტურისა და მათი პრაქტიკული უზრუნველყოფის, პროგრამირების რომელიმე კონკრეტული ენის გაცნობა. გათვალისწინებული იყო მანქანაზე დიალოგიურ რეჟიმში შესასრულებელი შემდეგი ლაბორატორიული სამუშაოები: ეკრანის ტექსტური რედაქტორების ათვისება, უმარტივესიამოცანების ამოხსნა დიალოგურ რეჟიმში, ეგმ-ის გამოყენება გამოყენებითი მათემატიკის ზოგიერთი ამოცანის ამოხსნისათვის. მათ შორის წრფივი და არაწრფივი განტოლების ამოხსნის რიცხვითი მეთოდები (შუაზე გაყოფის, მარტივი იტერაციის, ნიუტონი), რწფივ განტოლებათა თეორიის საკითხები, წრფივი და კვადრატული ინტერპოლების ფორმულები, ლაგრანჟის საინტერპოლაციო მრავლაწევრი, უმცირეს კვადრატთა მეთოდი, რიცხვითი ინტეგრება.

მომავალი მათემატიკოსებისათვისგანკუთვნილი პროგრამა ინფორმატიკაში ბათუმის უნივერსიტეტში განსხვავდება სხვა სპეციალობების სტუდენტებისათვის განკუთვნილი პროგრამებისაგან.

შესწავლილია კომპიუტერიზაციის პრობლემები ისტორიულ ასპექტში აჭარის რეგიონის სკოლების მაგალითზე. აღწერილია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ყველა ეტაპი და სირთულე, რომელიც ხასიათდებოდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული XX საუკუნის ბოლომდე.

მათემატიკის სწავლების შესახებ

თენგიზ ტეტუნაშვილი

ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი,
ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

ten21go@hotmail.com

ჩვენს მიერ განხილულია მათემატიკის სწავლების თანამედროვე კონცეფცია. ნაჩვენებია, რომ მათემატიკის სწავლების ნებისმიერი თანამედროვე კონცეფცია აუცილებლად უნდა გულისხმობდეს სწავლების პროცესში სიმრავლეთა თეორიის, მათემატიკური ლოგიკისა და ზოგადად დისკრეტული მათემატიკის სათანადოდ შერჩეული ელემენტების მეტი დოზითა და ინტენსივობით გაშუქებას, ვიდრე ეს ხდება ხშირ შემთხვევაში. განხილულია მათემატიკის სწავლების პროცეში არსებული ზოგიერთი ნაკლოვანება და მითითებულია მათი აღმოფხვრის გზები. ჩამოყალიბებულია კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს როგორც ზუსტ და საბუნებისმეტყველო, ასევე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების სტუდენტებისათვის გათვალისწინებული უმაღლესი მათემატიკის თანამედროვე კურსი. მათემატიკის სხვადასხვა დარგებიდან შერჩეული მაგალითების განხილვის საფუძველზე ნაჩვენებია, მათემატიკის სწავლების პროცესში, ისეთი პრინციპებისა და მიდგომების განხორციელების მნიშვნელობა როგორებიცაა: განხილულ საკითხებთან დაკავშირებული საკვანძო მომენტების გაშუქება; შემოღებული ცნებების ლოგიკური ანალიზი და მოდელირება; თვალსაჩინოების აქცენტების წინა პლანზე წამოწევა; ანალოგიების მეთოდის გამოყენებით სხვადასხვა ტიპის მათემატიკურ ობიექტებს (სტრუქტურებს) შორის შინაგანი კავშირების ხაზგასმა და დემონსტრირება; სასწავლო მასალის მიწოდების ოპტიმალური გზების შერჩევა-შემუშავება.

ლიტერატურა

1. P.J. Cohen, Set Theory and the Continuum Hypothesis, W.A. Benjamin, INC. New York, Amsterdam, 1966.
2. Н. Бурбаки, Теория Множеств, Изд. «Мир», Москва, 1965.
3. E. Mendelson, Introduction to Mathematical Logic, D Van Nostrand Company, INC. Princeton, New Jersey, Toronto, New York, London, 1963.
4. ა.ხარაზიშვილი, მათემატიკური ესკიზები, ნაწილი I, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2007.
5. ა.ხარაზიშვილი, სიმრავლეთა თეორიის საწყისები, ნაწილი I, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008.
6. A. Kharazishvili and T. Tetunashvili, Combinatorial properties of sets and Euler-Venn diagrams, Proceedings ofA. Razmadze Mathematical Institute, Volume 146 (2008), 115-119.
7. Kharazishvili and T. Tetunashvili, On some combinatorial problems concerning geometrical realizations of finite and infinite families of sets, Georgian Mathematical Journal, Volume 15 (2008), Number 4, 665-675.
8. Л. Феликс, Элементарная Математика в Современном Изложении, Изд. «Просвещение», Москва, 1967.
9. И. М. Яглом, Геометрические Преобразования, ТТ. 1-2, Изд. Технико-Теоретической Литературы, Москва, 1955-1956.
10. М.М. Постников, Аналитическая Геометрия, Изд. «Наука», Москва, 1973.
11. B.R. Gelbaum, J.M.H. Olmsted, Counterexamples in Analysis, Holden-Day, San Francisco, 1964.
12. С.В. Яблонский, Введение в Дискретную Математику, Изд. «Наука», Москва, 1979.

ქართული მათემატიკური განათლების სათავეებთან

Ფ. ᲦᲣᲠᲬᲙᲐᲘᲐ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

არითმეტიკის I ქართული ბეჭდური სახელმძღვანელო გამოიცა 1862 წელს. ეს იყო ფოგელის არითმეტიკა, რომელიც ქართულ ენაზე გადმოაკეთეს მიხეილ ყიფიანმა და ვახტანგ თულაშვილმა.

მოგვიანებით არითმეტიკის კიდევ რამდენიმე სახელმძღვანელო გამოიცა. კერძოდ, მ. ყიფიანისა 1886 წელს, ა. ნატროშვილისა 1899 წელს და სხვა.

რაც შეეხება ალგებრას, ვასილ ყიფიანმა პირველმა შექმნა ალგებრის ფუნდამენტური კურსი ქართულ ენაზე. მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო „დაწყებითი ალგებრა“ პირველად 1893 წელს ავტორისავე ხარჯით გამოიცა თბილისში. მეორედ კი გამოიცა ქუთაისში 1918 წელს. სახელმძღვანელოს შედგენა ალგებრაში მრავალ სიძნელესთან იყო დაკავშირებული. იმ ხანებში მათემატიკურ ცნებათა გამომხატველი ტერმინოლოგია თითქმის სრულიად დაუდგენელი იყო. მისი დამუშვება არსებითად პირველად ვასილ ყიფიანს ხვდა წილად. ეს სახელმძღვანელო არაფრით არ ჩამოუვარდება რევოლუციამდე გავრცელებულ ალგებრის საუკეთესო რუსულ სახელმძღვანელოებს.

1862 წელს ვ. თულაშვილიმა მ. ყიფიანთან ერთად შეადგინა და გამოსცა არითმეტიკის სახელმძღვანელო ქართულ ენაზე, ფოგელის არითმეტიკის სახელმძღვანელოს მიხედვით.

მოხსენებაში სისტემატიზირებული და ისტორიულ ასპექტშია გაანალიზებულია ქართველ პედაგოგთა ღვაწლი პირველი მათემატიკური სახელმძღვანელოების შექმნაში.

არაწრფივი სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანები

ა. ᲩᲮᲐᲠᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ

S. rusTavelis universiteti, baTumi, saqarTvelo

სტრატეგია არის ომისა და მშვიდობის დროს სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ძალების განვითარებისა და გამოყენების ხელოვნება, მეცნიერება, რომელიც გამოიყენება გამარჯვების სასურველი შედეგების მიღების და დამარცხების ალბათობია შემცირებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან ბიზნესის სტრატეგია შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც გარე გარემოს ცვლილებებზე ორგანიზაციის მიერ წინასწარ დაგეგმილი რეაქცია, მის მიერ ამორჩეული მოქმედების მიმართულება (წრფე, ხაზი), სასურველი შედეგების მისაღწევად. შესაბამისად სტატეგიული დაგეგმვის ამოცანები მეტწილად მათემატიკური მოდელირების ამოცანებზე დადის.

მრავალი საუკუნის წინ უძველეს ჩინეთში ფილოსოფოსთა, პოლიტიკოსთა და სამხედრო საქმის მოაზროვნეთა მიერ გამომუშავებული და სისტემაში იყო მოყვანილი ამა თუ იმ ვითარებაში მოქმედების *36 სტრატაგემა* (ინტრიგის პრინციპი), რომლებიც წარმოადგენენ კონკრეტულ ვითარებაში ტყუილის, ეშმაკობის სხვადასხვა ხერხის, ხრიკისა და ფანდის გამოყენების პრაქტიკულ რეკომენდაციებს.

ჩინური სტრატაგემების მთავარი პრინციპი იმასი მდგომარეობს , რომ მინამალური საშუალებებით (დანახარჯებით) მიაღწიო დასახულ მიზანს.

სტრტაგემათა მრავალი პრინციპი დაედო საფუძვლად არაწრფივ მოქმედებებს და აქტიურად იყო გამოყენებული წარსულსი ჩინელი მხედართმთავრების მიერ.

არაწრფივ მოქმედებათა სტრატეგიის განვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ძველი ჩინეთის განთქმულმა სტრატეგმა და მხედართმთავარმა სუ ძიმ (სუ ძი "ომის ხელოვნება", თბილისი, 2007).

ტერმინი სტრატეგიული მართვა ბიზნესში გასული საუკუნის 60-70 წლებიდან შემოვიდა. თანამედროვე მეწარმეს გააჩნია ბიზნეს-სტრატეგიის მთელი არსენალი. მათ შორის

1. ორგანიზაციის განვითარების სტრატეგია,

2. მარკეტინგის სტრატეგია,

3. კონკურენციის სტრატეგია,

4. მართვის (ხელმძღვანელობის სტრატეგია, პერსონალის მართვა) სტრატეგია და სხვა.

ამა თუ სტრატეგიის გამოყენება იმის გათვალიწინებით ხდება, თუ რა მდგომარეობაა, ან რა ცვლილებებს შეიძლება ველოდოთ ქვეყანაში (პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური) და რა გავლენას მოახდენს იგი ბაზრის სტაბილურობასა და კონკურენციის გარემოზე.

ასეთ ვითარებაში ბიზნეს-სტრატეგიის წრფივი მეთოდებით (წრფივად) გამოყენება ყოველთვის როდი მოიტანს წარმატებას. ვითარება განსაკუთრებით კი მაშინ რთულდება, როცა კონკურენტი თვით იყენებს არაწრფივ სტრატეგიას.

არაწრფივი სტრატეგიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ისე მიაღწიო მიზანს, რომ უშუალოდ არ შეეხო კონკურენტს (მოწინააღმდეგეს, მტერს), ანუ ღია კონფრონტაციის გარეშე, შემოვლით არაწრფივი მანევრით განახორციელო დასახული მიზანი. ზოგჯერ არაწრფივ სტრტეგიას განმარტავენ როგორც ეფექტური გამარჯვება მცირე ძალებით; ან კიდევ გამარჯვება ბრძოლის გარეშე.

მოხსენებაში მოყვანილი და გაანალიზებული იქნება სტრატეგიული მენეჯმენტისა და დაგეგმვის ზოგიერთი არაწრფივი მათემატიკური მოდელი.

მუსიკალური ტექსტის კვლევა სანოტო წყვილების საშუალებით

ე. ჩხარტიშვილი

შ. რუსთაველის უნივერსიტეტი,

ბათუმი, საქართველო

მუსიკალური ნაწარმოების სტრუქტურული მოდელი წარმოადგენს დინამიკურ სისტემათა კერძო სახეს, ამიტომ მისი განვითარების პროცესები შეიძლება დადგინდეს სინერგეტიკის, ფრაქტალებისა და ქაოსის თეორიის მეთოდებით. ამ მეთოდების ანალიზი, შესაბამისი მათემატიკური და პროგრამული საშუალებები, აგრეთვე, მათი გამოყენების ხერხები მუსიკალური ნაწარმოების ძირითადი პარამეტრების გამოსათვლელად წარმოადგენს კვლევის საგანს.

კომპიუტერული პროგრამა იკვლევს წინასწარ ფაილში შენახულ მუსიკალურ ტექსტში სანოტოწყვილების (დო-დო), დო-რე, დო-მი, ..., სი-ლა, სი-სი) სიხშირეს. ასეთი წყვილი სულ არის 49. გასათვალისწინებელია ერთი გარემოება, რომ მუსიკალური ტექსტი გადაყვანილი იქნეს ერთ გამაში და ფაილში შეყვანილი

იქნეს ნოტები და მისი შესაბამისი რიცხვითი ანალოგებით: დო – 1, რე – 2, მი – 3, დფა – 4, სოლ – 5, ლა – 6, სი – 7. შემდეგ პროგრამა თვლის აღნიშნული წყვილების სიხშირეებს.

ჯუზეპე ვერდის, მოცარტისა და ბოროდინის შემოთავაზებულ ნაწარმოებეში უფრო გამოიკვეთა უპირატესი სანოტო წყვილები, ვიდრე ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებაში, ხოლო ქართულ ხალხურ შემოქმედებაში ეს ტენდენცია ნაკლებია. შესაძლებელია, სწორედ ეს იყოს ერთ-ერთი განმსაზღვრელი პარამეტრი კომპოზიტორის სტილის, დახვეწილი გემოვნებისა და ტალანტისა.

მიმდევრობათა გარდაქმნები და მათი სწავლება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველ კურსზე

ლ. ციბაძე, გ. ბერძულიშვილი

ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

როგორც ვიცით ყოველი კრებადი მიმდევრობა შემოსაზღვრულია. მაგრამ შებრუნებული წინადადება საზოგადოდ ჭეშმარიტი არ არის. ასე მაგალითად მიმდევრობა, რომლის ზოგადი წევრი $x_n = (-1)^n$ შემოსაზღვრულია, ვინაიდან $|x_n| = 1$, მაგრამ ის კრებადი არ არის. ამ მაგალითიდან სჩანს, რომ საკმაოდ მარტივი შემოსაზღვრული მიმდევრობებიც კი არ არიან კრებადი. ამიტომ ბუნებრივია ისმის კითხვა, ხომ არ შეიძლება განვაზოგადოთ კრებადობის ცნება ისეთნაირად, რომ შემოსაზღვრული მიმდევრობათა რაც შეიძლება ფართე კლასს მიენიჭოს გარკვეული ზღვარი. სწორედ ამ საკითხის ნაწილობრივ გადაწყვეტას ემსახურება ჩვენი მოხსენება.

ნაშრომში მოყვანილი არის ტეპლიცის ერთი თეორემა, რომელიც ეხება მიმდევრობათა ისეთ გარდაქმნებს, რომლებიც ინარჩუნებენ კრებადობას. ამ თეორემიდან, როგორც კერძო შემთხვევა მიიღება კრებადობის ჩეზაროს (საშუალო არითმეტიკულების) მეთოდი და ამ მეთოდით ნაჩვენებია, რომ კრებადია არა მარტო ჩვეულებრივი აზრით კრებადი მიმდევრობები, არამედ ჩვეულებრივი აზრით განშლადი მიმდევრობებიც კი. იმისათვის, რომ მათემათემატიკის სპეციალობის სტუდენტებს ნათელი წარმოდგენა შეექმნათ განშლად და კრებად მიმდევრობებზე, უმჯობესია მოხდეს ამ მეთოდის სწავლება.

ტეპლიცის ზემოთ მოყვანილი თეორემიდან გამომდინარეობს აგრეთვე, როგორც კერძო შემთხვევა, შტოლცის ცნობილი თეორემა. ნაშრომში განხილულია უმაღლეს კურსში შემოთავაზებული სტანდარტული სქემა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება მიმდევრობის ზღვართა გამოთვლა. პარალელურად ჩვენს მიერ გარჩეულია იმავე ამოცანებისათვის ამოხსნის არასტანდარტული ხერხი. კერძოდ, შტოლცის თეორემის გამოყენებით ვაჩვენეთ, რომ მიმდევრობის ზღვართა გამოთვლა გაცილებით ადვილია და უფრო ნაკლებ დროს მოითხოვს, ამიტომ დღის წესრიგში დგება მიმდევრობის ზღვართა გამოთვლის არასტანდარტული ხერხების გამოყენების აუცილებლობა.

მომავალ პროგრამისტებზე ორიენტირებული დისკრეტული მათემატიკის კურსის სპეციფიკის შესახებ

მარინა ხარაზიშვილი

ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

kharaz777@gmail.com

როგორც ცნობილია, დისკრეტული მათემატიკა არის თანამედროვე მათემატიკის ის დარგი, რომელიც სხვადასხვა ტიპის დისკრეტულ სტრუქტურებს შეისწავლის. ეს სტრუქტურები ბუნებრივად წარმოიშვება როგორც საკუთრივ მათემატიკაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. აღსანიშნავია, რომ სულ უფრო და უფრო იზრდება დისკრეტული მათემატიკის გამოყენების შესაძლებლობა მეცნიერებისა და ტექნიკის მრავალ დარგში, აგრეთვე ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში. ჩვეულებისამებრ, დისკრეტული მათემატიკის საკითხები შეისწავლება უმაღლესი სკოლის ცალკეულ მათემატიკურ საგნებში, რომელთა შორის შეგვიძლია დავასახელოთ მათემატიკურიი ლოგიკა, გრაფთა თეორია, კომბინატორიკის ელემენტები, თამაშთა თეორია და ა.შ. დაპროგრამების კურსებში კი განიხილება დისკრეტული სტრუქტურების შესაბამისი ალგორითმები და მათი რეალიზაციები დაპროგრამების ენებზე. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ალგორითმების დამუშავების საკითხები სტუდენტებში გარკვეულ სიძნელეებს იწვევს. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ ამ დისციპლინის სპეციალური კურსის შექმნა, რომელიც სწორედ მომავალ პროგრამისტებზე არის ორიენტირებული. მეცადინეობების ჩატარების ფორმები სტანდარტული დარჩა: ლექციები, სემინარები და ინტენსიური კომპიუტერული პრაქტიკუმები. ბუნებრივია, ამ კურსის გავლისას დიდი ყურადღება დაეთმო სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობას. კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს დისკრეტული მათემატიკის ფუნდამენტური ცნებები და კონცეფციები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება თანამედროვე კომპიუტერულ მეცნიერებებში. კურსი შეიცავს მასალას ლოგიკური ფუნქციების, რეკურენტული განსაზღვრებების, გრაფებისა და ინფორმაციის კოდირების შესახებ. წარმოდგენილი თემების მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს შემდეგი საკითხები: ლოგიკური ფუნქციების გამოყენება დაპროგრამების ენებში და ინფორმაციულ სისტემებში; რეკურსიული ალგორითმების რეალიზაცია დაპროგრამების ენაზე; თვითმსგავსი ფიგურების (ფრაქტალების) გაცნობა და მათი კავშირის დადგენა რეკურსიულ განსაზღვრებთან; რეკურსიული ტიპის ფიგურების აგების მეთოდები; კონკრეტული პრაქტიკული ამოცანების განხილვა, რომლებიც გრაფთა თეორიის საშუალებით იხსნება, და სხვ. ამიტომ, სასწავლო მასალის ასათვისებლად, აუცილებელია დაპროგრამების ცოდნის გარკვეული დონე. კერძოდ, იგულისხმება, რომ სტუდენტებს გავლილი აქვთ დაპროგრამების ენის რომელიმე კურსი და აქვთ კომპიუტერული პროგრამების შედგენის გარკვეული უნარი.

ინფორმაცია საქართველოდან საზღვარგარეთ მოღვაწე მათემატიკოსებზე

ონისე სურმანიძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეოცე საუკუნის დასაწყისში, ნიჭიერი ახალგაზრდობა, ცოდნის შესაძენად და მეცნიერების დასაუფლებლად საზღვარგარეთ (განსაკუთრებით ლენინგრადსა და მოსკოვში) მიემგზავრებოდნენ. იქ ისინი წარმატებით ეუფლებოდნენ უმაღლესი სკოლის პროგრამას, მეცნიერებას და საქართველოში ბრუნდებოდნენ, რითაც ხელს უწყობდნენ ადგილზე მათემატიკის განვითარებას. ასე შეიქმნა ქართული მათემატიკური სკოლა ნიკო მუსხელიშვილის მეთაურობით და წარმატებით განვითარდა ისეთი დარგები, როგორიცაა: მათემატიკური ანალიზი, ტოპოლოგია და ალგებრა.

თუ მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოდან ნიჭიერი ახალგაზრდობა უცხოეთში ცოდნას იღებდა და უკან ბრუნდებოდა სამშობლოში, 21-ე საუკუნის დასაწყისისათვის კი საქართველოში გამოწრთობილი, როგორც პედაგოგიური ისე მეცნიერული თვალსაზრისით, ნიჭიერი ახალგაზრდობა, უკვე საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები, მიემგზავრებიან უცხოეთში და მთელ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას ახმარენ იქაურ სტუდენტ ახალგაზრდობას.

წინამდებარე ჩვენი ნაშრომის მიზანია, მკითხველს გავაცნოთ ასეთი მათემატიკოსები. ბევრ მათგანზე ინფორმაციის მოპოვება სრულყოფილად ვერ ხერხდება, ზოგიც კი, ჩვენგან დამოუკიდებლად, ადვილად შესაძლებელია ვერ მოხდა ჩვენს ჩამონათვალში, რისთვისაც თვითოეულ მათგანს ვთხოვთ პატიებას.

დაწყებითი სკოლის პირველ კლასში მათემატიკის გაკვეთილზე დიდაქტიკური თამაშების გამოყენების მეთოდიკა

შოთა მახარაძე, თეონა კაკაბაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სწავლების პროცესში ეფექტური სწავლება პირდაპირ კავშირშია მოსწავლეთა აქტიურობასთან სწავლების ეფექტური მეთოდების ძიებისათვის კი განსაკუთრებული მუშაობაა საჭირო. სწორედ ამიტომ დაწყებითი სკოლის პირველ კლასში მათემატიკის გაკვეთილებზე მეთოდიკურ თამაშების გამოყენება განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

„თამაში ის უზარმაზარი ნათელი ფანჯარაა, რომლიდანაც ბავშვის სულიერ სამყაროში გარემომცველი სამყაროს შესახებ შემეცნების სასიცოცხლო ნაკადი შემოედინება. თამაში ის ნაპერწკალია, რომელიც ცნობისმოყვარეობისა და აღქმის ცეცხლს ანთებს'' (ვ. სუხომლინსკი), ხოლო ელკონინი თავის ნაშრომში „თამაშების ფსიქოლოგია'' წერს, რომ „თამაშში წარმოიშობა მოტივაციის ახალი ფსიქოლოგიური ფორმა''. საზოგადოდ კი თამაში სასწავლო პროცესს საინტერესოს და შინაარსიანს ხდის. მიღებული ცოდნა ადვილად აღსაქმელი ხდება, ვითარდება წერისა და კითხვის უნარები, ყურადღება ექცევა აზროვნების განვითარებას.

ნაშრომის მიზანია დაწყებითი სკოლის პირველ კლასში მათემატიკის გაკვეთილზე დიდაქტიკური თამაშების გამოყენების მეთოდიკის ეფექტურობის განსაზღვრა.

ნაშრომის ამოცანაა შევისწავლოთ მათემატიკის გაკვეთილზე პირველ კლასში: დიდაქტიკური თამაშის სახეები, მათი ჩატარების ფსიქო-პედაგოგიური თავისებურებები; მასწავლებლისა და ბავშვის ურთიერთობა დიდაქტიკური თამაშების დროს; დიდაქტიკური თამაშების გამოყენების თავისებურებანი ახალი მასალის ახსნის, მიღებული ცოდნის გამყარების და განზოგადების დროს. განხილულია პირველი კლასის მათემატიკის გაკვეთილის სანიმუშო გეგმა-კონსპექტი დიდაქტიკური თამაშების გამოყენებით.

კვლევის ობიექტია მათემატიკის სწავლების პროცესი პირველ კლასში.

კვლევის საგანია დაწყებითი სკოლის პირველ კლასში მათემატიკის გაკვეთილზე მასწავლებლის მიერ დიდაქტიკური თამაშების გამოყენების მეთოდების, ხერხების და საშუალებების ერთობლიობა, ვინაიდან სკოლამდელი და დაბალი კლასის ბავშვების ცხოვრებაში თამაშს განსაკუთრებული როლი აქვს. „თამაში არის ბავშვობის სასიცოცხლო ლაბორატორია, რომელიც ახალგაზრდა სიცოცხლეს იმ ატმოსფეროს და არომატს აძლევს, რომლის გარეშეც ბავშვობის ხანა კაცობრიობისათვის უაზრობა იქნებოდა'' (შაცკი). სპეციალურად დამუშავებული თამაშები - საზრიანი ცხოვრების ჯანსაღი ბირთვია. იგი ცხოვრების განსაკუთრებული ფორმაა, რომელიც გამოიმუშავა ან შექმნა საზოგადოებამ, რათა ბავშვთა განვითარება ვმართოთ. იგი გონებრივი და სულიერი აღზრდის უმთავრესი საზრდოა, რომელიც ბავშვებს არასასიამოვნო და აკრძალულ ემოციებს უხსნის. დიდაქტიკური თამაშების უპირატესობა მის სტრუქტურაშია, რომელიც სხვა თამაშებთან შედარებით მდგრადია. მისი სტრუქტურული კომპონენტებია: თამაშის ჩანაფიქრი, თამაშის მოქმედება და წესები. თამაშის ყველა სტრუქტურული ელემენტი ურთიერთდაკავშირებულია და თუ ერთ-ერთი მათგანი გამოირიცხა, თამაშის დიდაქტიკური როლი იშლება.

რიცხვითი მეთოდები და მეცნიერული გამოთვლები

NUMERICAL ANALYSIS AND SCIENTIFIC COMPUTING

Spectral Approximation for Multilayer Prismatic Shell in the Theory of Elastic Mixtures

GIA AVALISHVILI*, MARIAM AVALISHVILI, AND DAVID GORDEZIANI

School of Mathematics, University of Georgia, Tbilisi, Georgia

g_a_avalishvili@yahoo.com, mavalish@yahoo.com

Tbilisi State University, Tbilisi, Georgia

dgord37@hotmail.com

Mathematical modeling and numerical simulation of stress-strain state of continuum with complicated internal structure is one of the rapidly developing directions in the mechanics of continuum and scientific computing. The theoretical principles for studying the mechanics of mixtures were formulated by C. Truesdell and R. Toupin. Further, various mathematical models of elastic mixtures were suggested by A.E. Green, P.M. Naghdi, T.R. Steel and others. The investigation of mixtures is important not only from theoretical, but also from practical point of view, as most astrophysical, geological and biological structures are mixtures with two or more constituents. The mixtures are widely used in industry, aerospace and other areas of technology.

Construction and implementation of algorithms of numerical solutions of three-dimensional boundary and initial-boundary value problems in the theory of elasticity and especially in the theory of elastic mixtures is rather complicated problem. Therefore, it is important to develop methods of approximation of the original problems defined on three-dimensional domains by problems posed over two-dimensional or one-dimensional space domains. Spectral methods are widely used for construction algorithms of reduction of dimension of space domain for various problems of mathematical physics. One of the methods of this type was proposed by I. Vekua for linearly elastic prismatic shells. The investigations of I. Vekua's reduction method first were carried out by D. Gordeziani. Namely, for static boundary value problems the well-posedness of the reduced two-dimensional problems for elastic shells in Sobolev spaces was investigated and the rate of approximation of the exact solution of the three-dimensional problem by the vector-functions restored from the solutions of the reduced problems in the spaces of classical smooth enough functions was estimated. Later on, various two-dimensional and one-dimensional models of elastic plates, shells and beams were constructed and investigated applying I. Vekua's reduction method and its generalizations.

In this paper, we consider a linear dynamical model of a multicomponent nonhomogeneous elastic mixture, which is a generalization of the well-known linear models. Applying variational approach, we study the initial-boundary value problem for multilayer prismatic shell in suitable Sobolev spaces. For various boundary conditions along the upper and the lower faces of prismatic shell, we construct algorithms of spectral approximation of three-dimensional dynamical problems by sequences of two-dimensional problems and study the well-posedness of the obtained initial-boundary value problems. Moreover, we investigate the relation between constructed two-dimensional and original three-dimensional problems. We establish pointwise convergence, as order of the approximation tends to the infinity, with respect to the time variable of the sequence of vector-functions of three space variables restored from the solutions of the reduced two-dimensional problems to the solution of the original problem in corresponding spaces and under additional conditions we obtain estimates of the rate of convergence, which depend on the order of approximation and maximum thickness of the layers of multilayer prismatic shell. Consequently, applying introduced spectral approximation algorithm for fixed order of the two-dimensional problem it is possible to tend the thickness of the layers to zero and obtain better approximations of the original three-dimensional initial-boundary value problem, than in the case of I. Vekua dimensional reduction method.

On One Averaged Integro-Differential Parabolic Equation

MAIA APTSIAURI

Ilia Chavchavadze State University,
Tbilisi, Georgia

maiaptsiauri@yahoo.com

In the work by D.Gordeziani, T.Dzhangveladze and T.Korshia (1983) the process of penetration of a magnetic field into a substance is modeled by the system of nonlinear integro-differential equations scalar and onedimensional analogue of which has the following form:

$$\frac{\partial U}{\partial t} = \frac{\partial}{\partial x}\left[a\left(\int_0^t \left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2 d\tau\right)\frac{\partial U}{\partial x}\right], \tag{1}$$

where the function $a = a(S)$ is defined for $S \in [0, \infty)$.

In 1990 Laptev proposed some generalization of the equation of type (1) and received the equation

$$\frac{\partial U}{\partial t} = a\left(\int_0^t \int_0^1 \left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2 dx d\tau\right)\frac{\partial^2 U}{\partial x^2}, \tag{2}$$

which named the average model.

Our purpose is to study the asymptotic behavior of solutions and finite difference schemes for the equation (2). In particular, our objective is to give large-time asymptotic of the solutions of the initial-boundary value problem with homogeneous as well as nonhomogeneous Dirichlet boundary conditions for the equation (2). We consider case $a(S) = (1 + S)^p$, $0 < p \leq 2$. Qualitative and structural properties of the solutions of initial-boundary value problems, construction and investigation of discrete analogues for equations (1) and (2) as well as the same questions for appropriate systems were investigated by T.Jangveladze and Z.Kiguradze.

Theoretical researches made earlier, show difference between asymptotic behavior of the solutions for homogeneous and nonhomogeneous boundary conditions. In particular stabilization of solution for homogeneous boundary conditions has the exponential while stabilization of solution for nonhomogeneous boundary conditions – polynomial character. Recently, numerical experiments show that stabilization in both case has the same character. This circumstance dictated to continue theoretical researches and get exponential stabilization for nonhomogeneous boundary conditions too.

The Solution of Nonlocal Problems with Integrated Boundary Conditions for Some Problems of Mathematical Physics

DAVID GORDEZIANI, TINATIN DAVITASHVILI*,

HAMLET MELADZE AND NUGZAR SKHIRTLADZE

[1]Department of Mathematics, Faculty of Exact and Natural Sciences,

Iv.Javakhishvili Tbilisi state University, Tbilisi, Georgia

dgord37@hotmail.com

[2]Department of Computer Sciences, Faculty of Exact and Natural Sciences,

Iv.Javakhishvili Tbilisi state University, Tbilisi, Georgia

t_davitashvili@hotmail.com

[3]Department of Computer Sciences, St. Andrew the First Called Georgian University,

Tbilisi, Georgia

h_meladze@hotmail.com

[4]Caucasus University, Tbilisi, Georgia

nskhirtladze@cu.edu.ge

The following nonlocal problem is considered:

$$Lu \equiv -\sum_{i=0}^{n} \frac{\partial}{\partial x_i}\left(a_i(x_0,x)\frac{\partial u}{\partial x_i}\right) + a(x_0,x)u = f(x_0,x), \tag{1}$$

$$\bar{x} \equiv (x_0,x), \quad x=(x_1,\dots,x_n)\in D, \quad \bar{x}\in\Omega=(a,b)\times D,$$

$$\left(\underline{\xi}-a\right)^{-1}\int_a^{\underline{\xi}} u(\mu,x)d\mu = \varphi_1(x), \quad x=(x_1,\dots,x_n)\in D, \tag{2}$$

$$\left(b-\bar{\xi}\right)^{-1}\int_{\bar{\xi}}^{b} u(\mu,x)d\mu = \varphi_2(x), \quad x=(x_1,\dots,x_n)\in D, \tag{3}$$

$$l\, u(x_0,x)=\varphi(x_0,x), \quad x_0\in[a,b]\times\Gamma, \tag{4}$$

